ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო

პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne

„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. სარედაქციო კოლეგია.

თებერვალი 1956 N° 8 FÉVRIER 1956

ი-548

შინაარსი;

გლოვის დღე	
თბილისი (ისტორიული ცნობები)	
მსოფლიო ბედის უკუღმა ტრიალი	ელ. პატარიძე
გასაკვირველი ამბავი	რ. გაბაშვილი
რუსული პოლიტიკის გასაგებად	X
ჩვენი ეკლესიისათვის	რ. ინგილო
რუსული კომუნიზმისაგან მსოფლიოს დაცვისათვის	X.
იძულებითი ერთა სოლიდარობა	ს. ჭირაქაძე
ბოლშევიზმის ფსიქოანალიზი	შ. კალანდამე
ქართული ეკლესია	. .
ამაო მოწოდება	ეოვი
მეთვალყურის შენიშვნები	ლ. ნ.
სხვა და სხვა ცნობები	

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS

1956

გურამ შარაძის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
RGIA

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

თებერვალი 1956 № 8 Février 1956

გლოვის დღე

1921 წლის თებერვლის 25-ს, საბჭოთა რუსეთის ჯარებმა, საქართველოს დამოუკიდებელ-დემოკრატიული რესპუბლიკის სახღვრებს, რომ თავს დაესხა, ომის გამოუცხადებლად, ჩუმად და მუხანათურად 11 თებერვალს,—გასტეხა თბილისის დამცველი ქართული ლაშქრის წინააღმდეგობა, და თეთრი თოვლის ზეწრით დაფარული, მსოფლიოს ეს უძველესი და საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი აიღო. იძულებით დასტოვა ქალაქი საქართველოს მთავრობამ, და დამფუძნებელმა კრებამ. ახლად აღდგენილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ისევ გარეშე მტრის ცოდვილის ხელით, დაენგრა ბჟენი და ფუძენი. ეროვნულმა თავისუფლებამ, ვით დაგვიანებულმა, დაკოდილმა მერცხალმა ფრთები გაშალა და დასავლეთისაკენ პირი იბრუნა. მრავალჯერ წამებული თბილისის ბუბლიდგან ჩამოხსნეს სამფეროვანი დროშა. თბილისიდან უკან დახეული ქართული ლაშქარი რუსის ჯარმა მესცვალა, თავისუფლება—მონობამ, მხიარულება—გლოვამ.

ერთხელ კიდევ დაეცა თბილისი და მასთან ერთად, ჯერ კიდევ ბრძოლაში მყოფი მთელი საქართველო, გულში მძიმედ დაკოდვილი, სისხლისაგან რომ გზადაგზა იცლებოდა. ამაო იყო ილიას სულიერი შვილის სპირიდონ კედიას პათეთიური მიმართვა მთავრობის თავმჯდომარისადმი. თბილისის უკანასკნელ კაცამდე დაცვისათვის. ამაო იყო თვით უკანასკნელის დიდი სურვილი და ნებისყოფა იმავე მიზნის თვის. მტრის სიმრავლემ და ძალამ სძლია ჯერ კიდევ დაუვაჟკაცებელ ქართველთა ლაშქარს. ამავე ბედს უმზადებდა დასავლეთისკენ ბრძოლით უკან დახეულ ქართულ ჯარს, კავკასიონის ქედის ყველა უღელტეხილებიდან გადმოსულ და საქართველოზედ შემოსეული წითელი რუსეთის ჯარები. ქართველი ერის უღირსმა შვილებმა: ჯუღაშვილ-ორჯონიკიძემ და მისმა ძმებმა ხელი მეუწყვეს რუსის ხალხის იმპერიალისტური მიზნის განხორციელებას. მათის ხელმძღვანელობით გამოს-

ჭრეს ყელი და დაიპყრეს მათი მშობელი ქვეყანა და ერის მოღალატის სახელით ჩაბარდნენ რუსეთის ისტორიას.

თბილისი, აღმოსავლეთ-დასავლეთის, აზია-ევროპის მიჯნაზე მდებარე ძველი დროიდან დიდი, სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის ქალაქი, მუდამ იზიდავდა უცხოელ დამპყრობელთ. ჩვენი ისტორიის ხანგრძლივობაში ის მრავალჯერ ყოფილა დაპყრობილი და დანგრეული, იმდენჯერვე განთავისუფლებული და აღდგენილი. ის გადაურჩა თურქმენთა, არაბთა, თემურლენგის—რვაჯერ შემოსევას. ბიზანტიელებისა და ხაზარების მიერ ხგრევა-ძარცვას. არაბების ბატონობას, ხაზარების ძარცვა-გლეჯას, თურქ-ოსმალთა და სპარსთა მრავალ შემოსევებს, აღამაჰმადხანის მიერ უღმობელ ნგრევა-დარბევას, დაბოლოს მეფის რუსეთის ბატონობას და კავკასიის ფრონტიდან მოხსნილ გახულიგანებული ჯარების მიერ მისი განადგურების გაზრახვას

ყველა ეს ისტორიული მაგალითები უდაო საწინდარია იმისა, რომ თბილისი მოინელებს, გადაურჩება მის უკანასკნელ დამპყრობელ წითელ რუსეთსაც და დამოუკიდებელ საქართველოსთან ერთად აღსდგება ვით ჩვენი წამებული სამშობლოს დედა-ქალაქი. მისი და საქართველოს დასაცავად თუ მისი თავისუფლების აღდგენისათვის უსწორო ბრძოლებში დაცემულ გმირთა იქ გათხრილი საფლავები, უდაო საფუძველია ჩვენი შეურყეველი იმედისა და რწმენის.

თ ბ ი ლ ი ს ი.

(ისტორიული ცნობები)

თბილისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვში ითვლება.

თბილისი ახალი წელთაღრიცხვის მე-IV საუკუნის მეორე ნახევრიდან იხსენიება, როგორც ქალაქი. ერთი ძველი ქართული წყაროს ცნობით მეფე ვახტანგ გორგასლანი «აშენებდა ქალაქ თბილისსა», ხოლო მისმა შვილმა დაჩიმ მე-VI საუკ. პირველ წლებში «განასრულნა ხღუდენი ტფილისისანი».

ამავე ხანში თბილისი იქცა საქართველოს მეორე სატახტო ქალაქად მცხეთასთან ერთად. მე V საუკუნიდან თბილისში არსებობდა საეპისკოპოსო. ამ დროიდან ის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად ხდება. 523 წელს, სპარსელების მიერ ქართველთა მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ თბილისი სპარსთა მარზპანის რეზიდენციათ იქცა დროებით. მე-VII საუკუნის დამდეგს დამთავრდა კათედრალური ტაძრის «სიონი»-ს მშენებლობა.

627 წელს ჰერაკლე კეისარმა რომელიც სპარსელებს ეო-

მებოდა ბიზანტიელთა და ხაზართა ჯარებით აიღო თბილისი, დაანგრია და გაძარცვა პირველად.

მეშვიდე საუკუნიდან თბილისი ქართლის ერისმთავრის ადგილსამყოფია. მეშვიდე საუკუნის დამლევს თბილისი არაბებმა აიღეს და საამიროს ცენტრად გადააქციეს. 764 წელს კი თბილისი აიღეს, დაანგრიეს და გაძარცვეს ხაზარებმა. 853 წ. ხალიფას სარდალმა ბუღამ აიღო თბილისი, გადასწვა და დაანგრია. ამის პროცესში 50 000 მცხოვრები დაღუპულა. მეათე საუკუნიდან თბილისის ამირები დამოუკიდებელი ფეოდალები ხდებიან. თბილისი კი მაინც დაკავშირებულია გაერთიანების პროცესში მყოფ საქართველოსთან. მისი უკანასკნელ თან საბოლოო შეერთება ხდება დავით მე-IV აღმაშენებლის დროს, რომელმაც 1122 წელს ქალაქი აიღო და სამეფო ტახტი ქუთაისიდან იქ გადაიტანა. 12—13 საუკუნოებში თბილისი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. 1226 წელს თბილისი ხვარაზმშაჰ ჯალალედინმა აიღო, დაანგრია, გაძარცვა და მოსახლეობაც გაჟლიტა. 1231 წ. თბილისი განთავისუფლებულ იქმნა. აქედან ათი წელიც არ გასულა რომ თბილისი აიღეს მონღოლებმა, რომელთა ბატონობა საქართველოში მთელი საუკუნე გაგრძელდა.

მეცამეტე საუკუნის მნიშვნელოვან ნაგებობიდან დღემდე დაცულია ცნობილი მეტეხის ციხე. მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში რომის პაპის განკარგულებით, ახლო აღმოსავლეთის კათოლიკე ეპისკოპოსის რეზიდენცია, გადმოტანილ იქმნა სმირნიდან «განთქმულ და შესანიშნავ» თბილისში.

თემურლენგის რვაჯერ შემოსევა და საქართველოს აოხრების შემდეგ მე-15 საუკუნეში თბილისი ისევ საქართველოს მეფეთა სატახტო ქალაქია. მე-15 საუკუნ. მეორე ნახევრიდან მე 17 საუკ. დამდეგამდე თბილისში რამდენჯერმე შემოიჭრნენ თურქმენები, სპარსელები და თურქოსმალნი. მე 17 საუკ. ოცდაათიანი წლებიდან თბილისი ხდება კვლავ ქართლის მეფეთა რეზიდენციად.

მე 18 საუკუნ. შუაწლებში კვლავ გაიხსნა ჩრდილოეთის გზა დარიალზე, რომლითაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. ამის გამო გაბოროტებული აღამაჰმადხანი 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისში შეიჭრა უამრავი ჯარით, ქალაქი ულმობლად დაანგრია და დაარბია. სექტემბრის ბოლომდეევე იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა. ქალაქი კვლავ შენდება და ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელ დღეებამდე თბილისი მისი სატახტო ქალაქია.

რუსეთთან საქართველოს შეერთების (1801 წ.) შემდეგ თბილისი «საქართველოს უზენაესი მთავრობის» ადმინისტრატიული ცენტრია. 1840 წლიდან—მთელი ამიერ-კავკასიის. 1845—1917 წლამდე ის მთელი კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციად რჩება.

მე 19 საუკუნის პირველ წლებში (მრავალჯერ განადგურებული) თბილისის მოსახლეობა 20.000 მცხოვრებს არ აღემატებოდა, 1865 წ.—71.000—აღწევს, 1897 წ.—161.000.ს.

1876 წელს თბილისში იყო 2.416 სავაჭრო-საწარმოო; 1879 წ.—2.716.—და სავაჭრო და სახელოსნო-სამრეწველოს საერთო რაოდენობა—4.790 აღწევდა. ქალაქის ეკონომიურ ზრდას ხელი შეუწყო ამიერ კავკასიის რკინისგზის გაყვანამ. 1872 წელს თბილისი რკინისგზით დაუკავშირდა ფოთს. 1883 წ. კი ბაქოსა და ბათუმს. 1900 წ. თბილისში უკვე იყო 5.263 საკრედიტო, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება. რომლებშიაც 21.000 მუშა მოსამსახურე ითვლებოდა. მათი წლიური კაპიტალის ბრუნვა 60.000 მანეთს აღემატებოდა. 1918 წ—1921 წ. თბილისი საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დედა ქალაქად ითვლებოდა. 1921 წ. 25 თებერვალს თბილისი საბჭოთა რუსეთის ჯარმა აიღო. დღევანდელი თბილისი საბჭოთა კავშირის მეცხრე ქალაქად ითვლება სივრცით, სილამაზითა და კეთილმოწყობით. 1939 წელს თბილისის მოსახლეობის რიცხვმა 519.175 კაცს მიაღწია.

მსოფლიო-ბედის უკულმა ტრიალი.

მეცხრამეტე საუკუნის მეტად შინაარსიანმა ეპოქამ, პიროვნების თავისუფლებასთან ერთად მთელი მისი სიმძიმით, მსოფლიოს წინაშე დასვა ეროვნებათა თავისუფლების საკითხი.

—«მრავალ სხვა კეთილშობილ საკაცობრიო იდეათა შორის აცოცხლდა და ხორცი შეისხა ეროვნულმა იდეამ. რასიულად მონათესავე ტომები ეროვნულ ერთეულებში დალაგდნენ, ეროვნულს მეგნებას მიაღწიეს და მათ მიერ დასახლებულ მიწა-წყალზე ნაციონალურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. «ძირიანად და არსებითად ნაციონალურმა ევროპამ შესცვალა მეთვრამეტე საუკუნის კოსმოპოლიტური ევროპა» ამბობს სორელი. სახელმწიფოს ფუძედ ეროვნული ერთიგივეობა და ერთობა დაედო».—ვსწერდით ჩვენ 1933 წ. «სამშობლო»-ს 15 ნომრის ფურცლებზედ.

თვით ამ ეროვნულ სახელმწიფოების და მათ შორის, იმ ერის მესვეურებიც, რომელთა დიდმა რევოლიუციამ წარმოშვა და თეორიული საფუძვლები ჩაუყარა თავისუფლების იდეებს საერთოდ, ვერ იცავდნენ ინტეგრალურ ეროვნებათა თავისუფლების იდეებს. საკუთარი სახელმწიფოს ეგოიზმით გაუჟაცებულნი განაგრძობდნენ ახალი მცირე ერების დაპყრობა-დამორჩილებას. ეგრედწოდებულ ევროპის კოლონიალური სახელმწიფოების გვერდით სამი დიდი იმპერია: ოსმალეთის-ოტომანთა, ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის დამყარებულნი იყვნენ დაპყრობილი ეროების ჩაგვრა-ბატონობა-

ზედ. მათ მიერ დაპყრობილი ერების შეუჩერებელი ბრძოლა, მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოებისათვის, ავსებდა მეცხრამეტე საუკუნის ისტორიას.

დიდ სახელმწიფოთა თუ იმპერიათა შორის არსებული მეტოქეობით დაძძიმებული ატმოსფერის შავი ღრუბლები გაარღვია, ბალკანეთის კუნძულზედ გასროლილმა ერთმა ტყვიამ; რაც მიზეზი გახდა დიდი მსოფლიო ომისა და ოთხი წლის განმავლობაში განუწყვეტელი სისხლის წვიმებით განბანა ცოდვილი ქვეყანა. ეს მსოფლიო ომი მოკავშირეთა გამარჯვებით და იმავე დროს ორთავე მოპირდაპირე ბანაკში მონაწილე—სამი დიდი იმპერიის დაშლა-დანაწილებით დამთავრდა. დიდმა ომმა მოინელა ავსტრო-უნგრეთის, ოსმალეთის-ოტომანთა და რუსეთის იმპერიები. თავისუფლების იდეის სამშობლო საფრანგეთის გულში ვერსალში შეკრებილ მა სამშვიდობო კონფერენციამ 1919 წ. ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა, დიდი ომით აბობოქრებული მსოფლიო და ეროვნებათა თავისუფლების იდეა ნაწილობრივად განახორციელა. დიდ იმპერიათა ნანგრევებზედ ეროვნებათა ათეულები გაანთავისუფლა, თუ განახლებული ეროვნული სახელმწიფოების არსებობას ფაქტიური და იურიდიული ცნობა მიანიჭა: ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დანაწილებისაგან წარმოიშვა ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და იუგოსლავიის დიდი ნაწილი; სამი იმპერიის შორის განაწილებული პოლონეთი გაერთიანებულ იქმნა და ეროვნულ სახელმწიფოებრივი თავისუფლება აღიდგინა; ოტომანთა იმპერიის მონობისაგან გაანთავისუფლეს და სახელმწიფოებრივი არსებობა აღუდგინეს სირიას და მესოპოტამიას; რუსეთის იმპერიის ნანგრევებზედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლება აღიდგინეს: ფინეთმა, საქართველომ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, ჩრდილო კავკასიის ტომებმა, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა. ალბათ რუსეთში მომწყვდეული სხვა ერებიც მიბაძავდნენ მათ მაგალითს. რომ ბოლშევიკურ რუსეთის უხეშ ძალას არ შეეჩერებინა მათი ნებისყოფა და მიმდევარი წლების განმავლობაში, კვლავ არ დაეპყრო ახლად განთავისუფლებული ერების ნაწილიც.

უნაკლო და სრულყოფილი ამქვეყნად არაფერია და არც რაიმე კეთდება მიწიერი ადამიანის გონებითა და ხელით. არცერთი ომის შემდეგ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულობა არ ყოფილა უნაკლო. 1919 წლის ვერსალის საზაო პირობებიც არ შეიძლება უნაკლოდ მივიჩნიოთ. ამ კონფერენციის, უდიდესი ზნეობითა და მორალით, თანაც გონებითა და გამოცდილებით უსვად დაჯილდოებულმა პოლიტიკურმა მეთაურებმაც ვერ დააღწიეს თავი გამარჯვებულის ფსიქოლოგიას; ვერ ი ıარგებლეს ფილოსოფოს პლატონის კლასიკური სიბრძნით: «გონება განაგებდეს, გული ასრულებდეს, მადა ემორჩილებოდეს». ამ სიბრძნისადმი უყურადღებობით მათ დაუ-

შვეს საზაო პირობებში, ზოგი რამ ისეთი, რაც მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზთა თესლათ შეიძლება მივიჩნიოთ. ამ უვარგისი თესლის აღმოფხვრაც შესაძლებელი იყო და ამას ემსახურებოდა მშვიდობიანობის მოციქულ არისტიდ ბრიანის თანდათანობით დათმობის პოლიტიკა დამარცხებული, მაგრამ დიდი პოტენციალური ძალის მქონე გერმანეთის ერისადმი. მათ მიმართ ასეთი პოლიტიკის წარმოება, თანდათან დაკმაყოფილებას მისცემდა გერმანეთის ხალხსა და ნიადაგს მოუსპობდა იქ უკიდურეს ნაციონალისტურს მოძრაობას, ჰიტლერის დროშით რომ ომის ცეცხლში შეიყვანა გერმანელები.

მიუხედავათ ამ ნაკლისა, უდაოა, რომ ვერსალის კონფერენციის დიდმა მეთაურებმა შესძლეს ყოველივეს განმანადგურებელი ოთხი წლის მსოფლიო ომის შემდეგ, წაბარბაცებული კაცობრიობისათვის აღედგინათ მორალური და ზნეობრივი საფუძვლები, სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინათ და ხელახლა წინსვლის და უკეთესი მომავლისაკენ მიემართათ მისი ცხოვრება.

* * *

ვერსალის საზაო პირობებით შექმნილი ცნობილი «კორიდორი» საბაბი გახდა გერმანიისათვის, თავს დასხმოდა პოლონეთს, მთელი მისი სამხედრო სიძლიერით. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა და შემდეგ ამერიკამაც ომი გამოუცხადა გერმანიას, პოლონეთის დასაცავად. გერმანეთის მაშინდელი მოკავშირე საბჭოთა რუსეთი მეორე მხრიდან დაესხა თავს პოლონეთს და მისი ნახევარი ტერიტორია დაიკავა. გერმანეთ-რუსეთის კავშირი, როგორც მოსალოდნელი იყო, უდღეური აღმოჩნდა და მათ შორის ომი გაჩაღდა. ამგვარად საბჭოთა რუსეთი მოკავშირეთა ბანაკში აღმოჩნდა და მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა. თავისუფლების ქვეყნებისა და მონობის ქვეყანა—საბჭოთა რუსეთის ურთიერთ დაკავშირება, სჩანდა, კარგს არაფერს მოუტანდა მსოფლიოს. ამ მსოფლიო ომის წარმოებაში ჩადენილი არაჰუმანიური აქტებით გამოაშკარავდა მსოფლიო ცივილიზაციის მორალური და გონებრივი დეკადანსი. ამ ომის დროს ჩადენილი უზნეო და არაჰუმანიური აქტები წაუშლელ სამარცხვინო ლაქად დააჩნდა ქრისტიანულ მორალზედ აღზრდილსა და დაფუძნებულს კაცობრიობას. მათ სიმძიმეს ალბად დიდხანს ატარებს ჩვენი ცოდვილი ქვეყანა.

ოთხი უმძიმესი წლის შემდეგ ეს გაუგონარი მეთოდებითა და საშუალებებით, ყოველივე სულიერი და მატერიალური ღირებულებისა და დოვლათის განმანადგურებელი ომი დამთავრდა, თუ შეიძლება ითქვას, მოკავშირეთა გამარჯვებით. ვამბობთ «თუ შეიძლება», ვინაიდან გამარჯვება არ ხასიათდება და ფასდება მხოლოდ საომარ ასპარეზზედ იარა-

ღის გამარჯვებით, არამედ მისი შედეგებითა და ნაყოფით. თითქმის გამართლდა ნათქვამი «ამ ომის შემდეგ აღარ იქნება გამარჯვებული და დამარცხებული» ო. გამარჯვებულ მოკავშირეთა ბანაკში. დემოკრატიულ და თავისუფლების ქვეყნების გვერდით, ბოლშევიკური რუსეთის თანაბარ-მონაწილეობამ, ისეთი თავისებური დაღი დაასვა ომის მიმდევარ ეპოქას, რომ დამარცხებულ, ქრისტიანული ცივილიზაციით ამაყი იტალიის «რეზისტანებმა» უბრალო კრიმინალივით მოჰკლეს ოცდაოდე წლის მანძილზე მათი სახელმწიფოს დიდი მეთაური და დაკლული ღორივით ჩამოჰკიდეს საყასბოს «ვიტრინაში» ბრბოს საჩვენებლად. გამარჯვებულებმა დამარცხებული სახელმწიფოს მეთაურები სამოქალაქო თუ სამხედრო უწყებისა დაიპირეს, გაასამართლეს და ბაწრებზედ ჩამოახჩვეს, როგორც რომელიმე სახელმწიფოს შიგნით კანონს გარეშე აღიარებული ბანდიტები. არა მგონია რომ საერთაშორისო კანონთა კოდექსში უბრალო შენიშვნაც არსებობდეს ამ აქტის დამფარველი. დამარცხებული სახელმწიფოს ეროვნული მთლიანი ცოცხალი ორგანიზმი გასჭრეს და შინაურ დიქტატურისაგან განთავისუფლებული მისი ოცი მილიონი მცხოვრებით, დღემდე გაუგონარ უცხო დიქტატურას მისცეს პირში. ასევე მოექცნენ თავისუფლების მოყვარულ კორეიას და ინდო ჩინეთს. ასეთი უსამართლობისაგან დაზღვეული არ არის არცერთი ერი თუ სახელმწიფო, სადაც ბოლშევიკური რუსეთი შინაური ომის ცეცხლს დაანთებს.

გაუგონარი ამბავი: თერთმეტი წელიწადია, რაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა და ჯერაც ვერ მოუხერხებიათ დამარცხებულ სახელმწიფოებთან საზაო პირობების დადება. ამის მიზეზი ისაა, რომ ომის დამთავრების პირველი დღეებიდანვე გამოირკვა მოკავშირეთა ბანაკში არსებული უთანხმოება.—წინააღმდეგობანი; ცხელ ომს ცივი ომი მოჰყვა, არა ომის მწარმოებელ ორი ბლოკის შორის, არამედ თვით მოკავშირეთა—თავისუფლების ქვეყნებსა და დიქტატურის ქვეყნის შორის. პირველთა ბანაკში მოჰყვნენ ბუნებრივად მათ მიერ ომში დამარცხებულ ევროპისა თუ აზიის სახელმწიფოები.

კომუნისტური საბჭოთა რუსეთი თავიდანვე დასავლეთის სახელმწიფოების უხვი დახმარებით დადგა ფეხზე. მას არ დაჰკლებია ამ ქვეყნებისაგან მეცნიერულ-ტეხნიკური თუ მატერიალურ-ფინანსიური დახმარება უკანასკნელი დიდი ომის წინ, საბჭოთა რუსეთი თითქმის მთლიანად ჩადგა ძველი რუსეთის საზღვრებში. ის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და ძველი სლავიანიზმისა და კომუნიზმის აგრესიული სახით ემუქრებოდა აზია-აფრიკის და ევროპის ქვეყნებს მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, დასავლეთ სახელმწიფოების მეთაურებმა საკმაოდ ვერ შეიგნეს კარზედ მომდგარი ეს დიდი საფრთხე. მეორე დიდ ომში მოკავშირეთ გაიხადეს და

ნადავლიც მთლიანად მას მიაკუთვნეს; ძველი რუსეთის იმპერიის საზღვრები გადმოალახვიეს და შუა ევროპაში შემოიყვანეს. ამგვარად გაძლიერებული საბჭოთა რუსეთი ახლილად შეუდგა დასავლეთი ევროპის აფრიკისა და აზიის ქვეყნების შიგნით დანაღმვას. ექვსას მილიონიან ჩინეთში კომუნისტური რეჟიმი დაამყარა, ფაქტიურად მისი გავლენის ქვეშ დააყენა და აზიისა და აფრიკის დანარჩენ ქვეყნებშიაც ფეხი შესდგა და მისი გავლენა გააძლიერა. ამგვარად დღიურ წესრიგში დადგა თავისუფლების ქვეყნებისათვის ეს უდიდესი საფრთხე. გვიან მაგრამ, მაინც გამოიღვიძა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა და დიდმა ამერიკამ. გაჩაღდა ეგრეწოდებული ცივი ომი, რომელზედაც მილიონები და მილიარდები იხარჯება ორივე მხრიდან. დიდი ომის შეჩერებიდან სრულიად არ ჩამქრალა ცხელი ომი და ევროპა-აზია აფრიკის კონტინენტებზე ადგილობრივი ხასიათის პერმანენტული ომები სწარმოებს და სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა. «რკინის ფარდის» ორივე მხარეზედ გაუგონარის ინტენსიობითა და სიჩქარით სწარმოებს მზადება მესამე მსოფლიო ომისათვის, რომელიც გუშინდელ მოკავშირეთა შორის უნდა გაჩაღდეს და რომლის საშიშროება თავზარსა სცემს ორთავე მოპირდაპირეს. დიდი სახელმწიფოების დიდი მეთაურები, მათი უაღრესად მძიმე პასუხისმგებლობის წინ დადგნენ პირისპირ ხალხისა და ისტორიის წინაშე. გახშირდა მშვიდობიანი სიტყვები, საზაო კონფერენციები და მოლაპარაკებები. ეგრედ წოდებული «ქენევის ატმოსფერის» უდღეური ხანიდან გამოვედით. ომის ატმოსფერისა და მსოფლიოზედ დაწოლილი სისხლით გაჟღენთილი საწვიმრად განმზადილი ღრუბლების გაბნევა-გაფანტვას კიდევ ცდილობენ დიპლომატები, მშვიდობიანი ფრაზეოლოგიით. იღწვიან და შრომობენ, რომ კეთილშობილი გამოსავალი მოსძებნონ. საშინელი პერსპექტივების წარმომშობი მომავალი ომი და კატასტროფა თავიდან ააცდინონ კაცობრიობას. ხალხების ყურადღება მათკენ არის მიპყრობილი.

ერთი მხრით ატლანტიკის სამხედრო პაქტი, რომელშიდაც თავს იყრიან ჩრდილოეთ-ამერიკა, ინგლისის იმპერია, მასში შემავალი ქვეყნებით და დასავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები. მეორეს მხრივ ვარშავის სამხედრო პაქტი, რომელიც თავს უყრის კომუნისტურ საბჭოთა რუსეთთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ხალხოსნურ-დემოკრატიულ—მათი გავლენის ქვეშ მყოფ, სატელიტებს იუგოსლავია-ოსმალეთ-საბერძნეთის სამხედრო პაქტი და ბაღდადის პაქტი. ორივე მხრით სამხედრო მზადება თითქოს თავდაცვისათვის, არა თავდასხმისათვის. და ერთმანეთის დასაწყნარებლად, ორივე მხრით ცდა აღმოსავლეთ ევროპაში ერთგვარი ნეიტრალური, ტამპონის როლის აღმასრულებელ ზო-

ნის შექმნისა, ჩრდილოეთის ოკეანედან ხმელთაშუა ზღვამდე. თანაც საზაო-სამშვიდობო კონფერენციები. ეს ხანა მეტად წააგავს 1930—1939 წლების ეპოქას, რომელსაც ახასიათებდა «დიდი ანტანტის», აღმოსავლეთ ევროპის «მცირე ანტანტის» და სხვა რეგიონალური პაქტები; დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა და საბჭოთა რუსეთის შორის დადებული პაქტები. ამავე დროს ცნობილი «ბრიან-კელოგის» პარიზის მშვიდობიანობის და ბოლოს მიუნხენის სამშვიდობო კონფერენცია. ამ ორი ეპოქის ანალოგია მეტად თვალსაჩინოა.

ამავე საგანს ვეხებოდით ჩვენ 1935 წელს «სამშობლო»-ს მე 17--18 ნომერში (საზაო სიტყვები და საომარი საქმეები) და ვამბობდით: «ამ მოსალოდნელი ომის თავიდან აცდენას ვერავინ მოახერხებს. შეუძლებელია ცარიელი დიპლომატიური ფრაზეოლოგიით გაფანტვა და დაშლა იმ შავი ღრუბლების, ევროპა-აზიას რომ თავს დასტრიალებენ და სისხლის წვიმებითა და ქვემეხებით ემუქრებიან». ოთხი წლის შემდეგ მომხდარმა ომმა სამწუხაროდ სავსებით გაამართლა ჩვენი დაფასება.

გასული წლის ზაფხულში ჟენევაში «ოთხი დიდი» ს მხიარული შეხვედრა იმით დამთავრდა რომ შეთანხმდნენ—უნდა მოვრიგდეთო და ამის განხორციელება საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ შეხვედრას მიანდეს. ამ კონფერენციამდე მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა და მათ შორის ადენაუერ-ბულგანინის მოსკოვში შეხვედრამ, რომლის შედეგი «მატშ ნულ» ით დაახასიათა ამერიკის საზოგადოებრივმა აზრმა; მეორე დღესვე მოსკოვში გროტვოლის მიპატიჟებამ—თათბირმა და ამის შემდეგ მოსკოვის განცხადებამ და სხვა ნაკლები მნიშვნელობის პოლიტიკურმა ამბებმა შემოდგომის დასაწყისშივე გაჰფანტა ჟენევის თბილი პოლიტიკური ჰავა და საგარეო საქმეთა მინისტრების ოქტომბრისათვის განზრახულ კონფერენციას უიმედობის ნიადაგი მოუმზადა. ამ კონფერენციამ ისე უშედეგოთ ჩაიარა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ვერც ერთ სადაო საკითხზედ ვერ შეთანხმდნენ.

ერთხელ კიდევ ნათელი გახდა ის უდაო ჭეშმარიტება რომ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკის მთავარი ხაზი არ მიიმართება მშვიდობიანობისაკენ, არამედ ომისაკენ, რომლის მიზანია თავისუფალი ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილება. ბულგანინ ხრუშჩევის ინდოეთში საგიტაციო მოგზაურობამ, ხომ სრულიად გააშიშვლა მათი პოლიტიკური მახინჯი და სისხლიანი სახე. ნუ თუ ამის შემდეგაც ვერ შეიგნებენ თავისუფალი ქვეყნების დიდი პოლიტიკური მეთაურები, რომ მოსკოვის იმპერიალიზმთან მორიგება შეუძლებელია. დროა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა რუსეთის ორმაგი დიპლომატიის მეთაურები არ შეიძლება მიჩნეულ იქმნან სამშვიდობო საქმიანობის საიმედო პარ-

ტნიორებად, რომ მათის მონაწილეობით გამართული სამშვიდობო კონფერენციები ვერ შესძლებენ მეტად შერყეული მორალის-ზნეობისა და სამართლიანობის აღდგენას, პიროვნებისა და ეროვნებათა თავისუფლების დროშის აღმართვას მსოფლიოს მწვერვალზედ, და ქვეყანაზედ მშვიდობიანობის დამყარებას.

* * *

რა მისცა, თავისუფლების გზაზედ მეცხრამეტე საუკუნიდან შემდგარ მსოფლიოს, თავისუფლების დროშით მოკავშირეთა მიერ წარმოებულმა მეორე დიდმა ომმა? პირველი დიდი ომის და ვერსალის სამშვიდობო კონფერენციისაგან განთავისუფლებული და ნაცნობი ეროვნულ სახელმწიფოთა მთელი რიგი, რომელნიც მრავალჯერ გადაურჩნენ საბჭოთა რუსეთის კლანჭებს, მათი გაუგონარი დიქტატურის ქვეშ დაყენეს. თავისუფლება დაჰკარგეს: ბალტიის ქვეყნებმა—ლიტვამ ესტონეთმა-ლატვიამ, ჩეხოსლოვაკიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, ალბანეთმა და პოლონეთმაც, რომლის თავისუფლების დასაცავად იარაღი აიღეს დასავლეთის თავისუფლების ქვეყნებმა. მასვე დაუმორჩილეს გერმანეთის აღმოსავლეთის ნაწილიც და მის დედა ქალაქ ბერლინში აღიმართა ერთა მონობაზე დამყარებული რუსეთის იმპერიის სისხლიანი დროშა. დამარცხდა მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული შეუჩერებელი ბრძოლა ეროვნებათა თავისუფლებისათვის. შეჩერდა ისტორია ერების თავისუფლების გზით რომ წინ მიდიოდა. ქვეყანა კვლავ ერთა მონობის ხანაში ჩავარდა. სადღა არის თავისუფლების დროშა, კაცობრიობის საუკეთესო კეთილშობილ იდეალებს რომ გამოხატავდა, და რომლის ქვეშ ხლვა სისხლი დაიღვარა. ვინღა ლაპარაკობს ბოლშევიკური რუსეთის მიერ კვლავ ცეცხლით დაპყრობილ ეროვნულ სახელმწიფოებზე, ვინღა ახსენებს კავკასიის თავისუფლების მოყვარულ ერებს: ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ამაყი შამილის მთიელებს, უკრაინელებს, თურქესტანელებს, ყაზახებს და სხვათ, ოცდახუთმეტი წლის მანძილზედ რომ სისხლისაგან იცლებიან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში და დასავლეთის თავისუფლების ქვეყნებიდან შველასა და თავისუფლებას ელოდებიან.

დამყარდა ხანა ეროვნულ-პოლიტიკური ბატონ-ყმობისა და ფეოდალობის. უამრავ დიდ და პატარა ერების სახელით მსოფლიოს ბედს «ოთხი მთავარი» სწყვეტს, და მათ შორის საპატიო ადგილზედ ზის ის წითელი ფეოდალი, რომელსაც წელზედ ჰკიდია გასაღები იმ დიდი ციხისა, რომელშიაც დამწყვდეულია ადამიანთა მილიონები და ეროვნებათა ათეულები.

ამასა ჰქვიან მსოფლიო ბედის უკუღმა ტრიალი და სადამდე მიიყვანს ეს უფსკრულისაკენ თავდაღმართზე დაქანებულს კაცობრიობას.

«ოთხ დიდთა» კონფერენციები მეტად მოგვაგონებს 1815 წლის ვენის კონგრესს, სადაც შეკრებილნი დიდი იმპერიების წარმომადგენელნი არავითარ ანგარიშს არ უწევენ მცირე ერების უფლებებს და მათ მიწა-წყალს გაუმაძღარის იმპერიალისტური მადით ინაწილებენ: ბელგიას მისდა დაუკითხავად, ჰოლანდიას შეუერთებენ, პოლონეთს სამად ანაწილებენ— რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიას შორის, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთს ავსტრიისავე იმპერიაში მოამწყვდევენ და იტალიასაც ტერიტორიალურად შეამცირებენ. «სამშობლო» ს მე-13 ნომრის ფურცლებზე 1933 წ. («ისტორია ერთა თავისუფლების გზით») ზემოთ მოყვანილ აზრებსა ვწერდით და დავსძენდით: «მართალია ისტორიის ამა თუ იმ ეპოქის 'მინაარსი ხშირად ფიზიკურ ძალას უკარნახებია, მაგრამ ისტორია არასოდეს შეჩერებულა იქ, სადაც ფიზიკურ ძალას წერტილი დაუსვამს. სამართლიანობა და მორალია ის უხილავი სულიერი ძალა, რომელიც მსოფლიოს არსებობას ქვაკუთხედათ დასდებია და რომელსაც თავისის გზით მიჰყავს ისტორია. ის ეპოქა, რომელშიაც ფიზიკური ძალის მიერ დათრგუნულია თავისუფლება, არის შეჩერებისა და უკანსვლის ხანა. თავისუფლება არის ის უხილავი მორალური ძალა, რომლ ის საბოლოოდ დამარცხება ფიზიკურ ძალთა შესაძლებლობას აღემატება». თითქმის 150 წლის შემდეგ ვენის კონგრესის ხანას დავუბრუნდით. და ჩვენც 23 წლის წინ ნათქვამის განმეორება გვიხდება.

იმ მთავარ საკითხთა შორის, რომლის დადებითად გადაჭრა აუცილებელი წინასწარი პირობაა მსოფლიოს მომავალი მშვიდობიანობისა და წინსვლისათვის, ეროვნული თავისუფლების საკითხი პირველ რიგში სდგას, მთელი მისი სიმძიმით, რომლის დადებითად გადაუჭრელად ქვეყნიერებაზედ მშვიდობიანობა ვერ დამყარდება, სისხლისღვრა ვერ შეჩერდება. მსოფლიო პოლიტიკის მეთაურთა უწმიდესი მოვალეობაა, თანამედროე მეცნიერულ-ტეხნიკურ წინსვლასთან შეგუებით მოსძებნონ ფორმა, მცირე ერების თავისუფალი არსებობისა და მათ ღირსეული ადგილი მიუჩინონ დიდ ერთა გვერდით.

ვიმეორებთ,—მეცხრამეტე საუკუნემ დააყენა ეროვნული თავისუფლების საკითხი ისტორიის არეზე, და მეოცე საუკუნეს პასუხის გასაცემათ უანდერძა. მცირე ერების თავისუფლებისათვის ბრძოლებია ამა თუ იმ სახით, მეტ-ნაკლების სიძლიერით მთელ მსოფლიოს რომ მიწისძვრად ევლინებიან. მეოცე საუკუნემ ამ საკითხს ღირსეული პასუხი უნდა გასცეს, ბოლო უნდა მოუღოს ეროვნულ-პოლიტიკურ ბატონ-ყმობისა და ფეოდალიზმის ხანას.

ელ. ბატარიძე.

ბასაკვირველი ამბავი.

შიდა რუსეთი,—ერთად-ერთი დიდი იმპერიაა, დარჩენილი მსოფლიოში,—მუდამ იყო შემორტყმული, ჯავშანივით, არა რუს, ძალით დაპყრობილ ერთა კოლონიებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ჯავშანი გაორკეცდა, და, თუ წინად თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე, შავი ზღვიდან იაპონიის ზღვამდე იყო გადაჭიმული, ეხლა შუაგულ ევროპამდე, ხმელთა-შუა ზღვამდე და ინდოეთის საზღვრებზე გავლით,—ჩინეთის ზღვამდე აღწევს.

ეს მეორე რიგის,—დროით და გეოგრაფიულად,—ისევე დაპყრობილი კოლონიები, ატარებენ სატელიტების სახელს.

სასკოლო რუქასაც კი ვინც დახედავს, დაიხახავს, თუ როგორ არის გაბერილი 80.000.000-ანი შიდა-რუსეთი, 150.000.000-ანი კოლონიებით; მაგრამ ე. წ. თავისუფალი დემოკრატია, ამერიკის მეთაურობით, მსოფლიოსათვის ამ საშინელ საშიშროებაზედ სდუმს, თვალსა ხუჭავს, დონ კიხოტივით ქარის წისქვილ-კომუნიზმს ებრძვის და ისიც უხეირო საშუალებით.

პარადოქსია, მაგრამ კეთილშობილი, ძლიერი ამერიკა, არა მარტო სიტყვით, არამედ რეალურადაც ხელს უწყობს თავის ევროპიელ მოკავშირეთა ხელიდან კოლონიალური ხალხების განთავისუფლებას, ისევე, როგორც რუსეთის ბოლშევიკური წითელი ვეშაპი. ამით წყალს ასხამს რუსეთის იმპერიალიზმის წისქვილზედ; იმის მაგიერ რომ თავისუფალმა დემოკრატიამ შეუტიოს, იერიში მიიტანოს სიტყვით, პროპაგანდით, რადიოთი თუ პრესით,—რუსეთის კოლონიალურ იმპერიალიზმზე.

ბანდუნგის ყრილობაზედ, საცა შეიკრიბნენ აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის წარმომადგენელნი და ერთხმად დაჰგმეს ყველა სხვა ქვეყნების იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, მხოლოდ პატარა ცეილონმა დაასახელა რუსეთიც და მხოლოდ ოსმალეთი მიემხრო მას.

ეხლახან დელესმა გაუბედავად წარმოსთქვა სიტყვა რუსეთის ევროპიელ სატელიტების შესახებ და პრესამ კი არ აიტაცა ეს სიტყვა, პირიქით, ყველა მხრიდან შეუტიეს და ნამეტნავად ინგლისიდან.

რა ღვთის წყრომაა კაცობრიობის თავსა? შეიარაღებული რუსეთის ბოლშევიზმი შეიჭრა აფრიკაშიაც. ეგვიპტესა და იორდანიას იარაღს აძლევს; საფრანგეთს უჯანყებს ალჟირმაროკოს; შეიჭრა ინდოეთში, პორტუგალიისა და პაკისტანის იმპერიალიზმზე გაჰკივის; კაპიტალისტურ დემოკრატიას ახდილად ცეცხლით ემუქრება და ეს დემოკრატია ერთმანეთს უკიქინებს იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს? ძეუს! რატომ ართმევ, სასჯელად, გონებას შენს «კლასიკურ» ქვეყანას?

ხრუშჩოვები და ბულგანინები რუსები არიან, რუსულ ჩვეულებრივ (და არაჩვეულებრივ) რეალურ პოლიტიკას აკეთებენ,—იმპერიალისტურ კოლონიალიზმის მოგვნი არიან—და სხვები ებრძვიან უნიათოდ კომუნიზმს. რომელიც, შიდა-რუსეთის გარდა,—ყველგან მხოლოდ რუსის იარაღით არის დარგული და განაგრძობს ზრდასა.

უბრალო ლოგიკა მოითხოვს, ებრძოლო ყველა საშუალებით,—შეიარაღებულ, ბოლშევიკურ იმპერიალისტურ რუსეთს,—კომუნიზმის სათავეს,—რომ სხვა ქვეყნებში იგი თავისთავად შესუსტდეს და მოისპოს.

უბრალო ფსიქოლოგიის საკითხია: მთელ მსოფლიოში დამონებული ერების განთავისუფლება იქადაგო და ამით უდიდესი კოლონიალური იმპერია დაანგრიო შიგნიდან, ვიდრე ებრძოლო საერთოდ კომუნიზმს, რომლის მიმდევარნი არა-რუს ქვეყნებში ამით რუსებთან უფრო ძლიერ დააკავშირო და გააძლიერო. ყველა არა-რუსის ყურადღება აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული.

რ. გაბაშვილი.

რუსული პოლიტიკის გასაგებად.

რა ჟამს სახელმწიფო კაცის დიდს ღირსებებს: ჭკუას, ნიჭსა და გამოცდილებას ისტორიის ცოდნა და მეხსიერება არ სჭარბობს. ეს ღირსებები მყისვე ნაყოფ გამოუღებლად რჩებიან და ზედმოყოლილი სახელმწიფო კრიზისი საერთაშორისო კრიზისის საშიშ ფორმებში ისხმება.

ასე იყო წინამორბედი (1914—1918) ომის დროს. ასევე განმეორდა უკანასკნელი მსოფლიო (1939—1945) ომის დროს და ამავე სახით ვითარდება მოვლენები კარზე მომდგარ მესამე მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

ეროვნული ინტერესების ნაცვლად თავში ასულმა ეროვნულმა ეგოიზმმა განზე მიაგდო მეხსიერებაც და ისტორიის გაკვეთილებიც.

ყველგან და ყოველთვის, იყო ეს მიზეზი თუ საბაბი, რუსეთის პოლიტიკური ამოცანების გაუგებლობა სარჩულად ედებოდა მსოფლიო და ლოკალურ კონფლიქტებს.

ისე იქნა შეწურული რუსულ ორგანიზმში მთელი ციმბირი, კავკასია, ყირიმი, შორეული და ახლო აღმოსავლეთის, დასავლეთის მოსაზღვრე ტერიტორიები, რომ განათლებულმა და იმ დროით ხელმძღვანელმა ერებმა და სახელმწიფოებმა არც პირი გახსნეს დაპყრობილთა სასარგებლოდ და არც ხელი გაანძრიეს, რომ უსამართლობის და უწესოების პრეტენდენტები კვლავ არ წარმოშობილიყო. ნაყოფი თვალწინა გვაქვს: რუსეთი ანგარიშს აღარ უწევს არც რამეს და არც ვი-

ნმეს. ორგანიულად გერმანული აღმოსავლეთი რუსულის ანექსიით დაგვირგვინდა და სახელითაც და სახრავითაც რუსიფიკაციის მსხვერპლი ხდება.

ასეთ საერთაშორისო აქტს საერთაშორისო დასტურიც დასჭირდა და ამ მიზნით, რუსეთის საბჭოთა მთავრობა ჟენევაში ჩავიდა, ჩვეული გინებისა და მუქარის ნაცვლად ლიმილი დაიწყო და საჭირო დიპლომატიური წარჩინებაც აქტივში ჩაიწერა.

რკინის ფარდის ერთი კალთა წამოსწია. შიგნით გულუბრყვილო ევროპიელებს ცალის თვალით შეახედა, ორიოდე ტურისტიც გააძვრინა ამ კალთის ქვეშ, დაანახა მათ ჯერ არაფრის მნახველი და თვალაცრემლიანებული საბჭოთა მოქალაქენი, რომელთაც დასავლეთის ნაციონალური ჰიმნებიც კი ამღერა და ტანში ყრუანტელით მოცული ტურისტები საუკეთესო პროპაგანდისტებათ აქცია რუსული საქმისთვის.

რუსული ბალეტის ევროპაში წარმოგზავნამ ხომ სულ მთლად თავბრუ დაასხა ევროპიულ პრესას და საზოგადოებრივ აზრს და სრულებით დააავიწა მათ ის ცეცხლის ბუდეები და სისხლის ჩანჩქერები, რომლის ირგვლივ ამ ბალეტის მსახიობნი ცეკვავდნენ.

ჩრდილის ფენებში მოექცა ჩრდილო აფრიკის დრამატიული სცენებიც, გერმანიის, ჩინეთის, ინდო-ჩინეთის, კორეისა და სხვათა წელში ორად გადახერხვაც, ტიბეტის ანექსიით ინდოეთთან გეოგრაფიულ-სტრატეგიული მეზობლობის შესაძლებლობაც, ინდონეზიის კუნძულების ნაწილობრივ გაკომუნისტებაც.

კომუნისტური ჩინეთის მუქარებიც რომ ანგარიშში არ მივიღოთ, ევროპიულ საზოგადოებრივ აზრს ისიც კი მიავიწყდა, რომ იტალიისა და საფრანგეთის მოქალაქეთა ერთი მეოთხედი ნაწილი რუსული ჯარების საავანგარდო სექტორს უფრო წააგავს, შესაძლოა საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც. ვიდრე მშობელი ქვეყნის მოქალაქეთა კოლექტივს.

სამწუხაროდ, ამას ის ამბავიც უნდა დაურთოთ, რომ ნელის ტემპით, მაგრამ მაინც საფუძვლიანად განიცდიან რუსული პოლიტიკის ორბიტაში მოქცევის პროცესს ინდოეთი, ბირმანია, ავღანისტანი და არაბთა ტომებით დასახლებული აზია-აფრიკის ტერიტორიები. სურათი დასრულებულად ჩაითვლება, თუ დავინახავთ, რომ ფრანგი ფრანგს, იტალიელი იტალიელს, გერმანელი გერმანელს და ყველა ესენი ერთი მეორეს უნდა შეასკდეს რუსული საქმის გასაკეთებლად.

ამის შემდეგ ძნელი აღარ იქნება რუსობისთვის დაუმტკიცოს მსოფლიო დემოკრატიას და მარტოოდენ ფიზიოლოგიურის სიცოცხლით დაინტერესებულ ერებს, რომ კატასტროფიდან თავის დასაღწევად ერთიღა გამოსავალია დარჩენილი: მორიგეობით, ჯერ პატარა და შემდეგ დიდმა ერებ-

მაც, ხელი აიღონ ბრწყინვალე წარსულიდან, საკუთარი ისტორია «tabula rasa»-დ აღიარონ და რუსული ინტერპრეტაციის მარქსიზმში და ლენინიზმში დაინახონ არსებობის იდეალური ელემენტები.

ასეთი რუსული არგუმენტაცია პან გერმანიზმის ფეტიშთან საბრძოლველად ეხლაც კი ჰპოულობს გამოძახილს და დახმარებას დასავლეთის პრესაში და მოკავშირეების საზოგადოებრივ (თუნდაც ანტი-კომუნისტური იყოს იგი) აზრში.

ამ პანგერმანიზმის გულშემზარავი წარსულით დაშინებულმა და გაბრუებულმა, ხოლო იდილიური პანსლავიზმის უმანკოებით მოხიბლულმა მსოფლიო დემოკრატიამ სრულიად ვერ შეამჩნია საშინელი აჩრდილი პან რუსისტული მოძრაობისა, რომელიც შეუჩერებლად იზრდებოდა საუკუნოების განმავლობაში მის ცხვირის წინ: ხან მონარქისტული სკიპტრის ქვეშ თავშეფარებული, ხან პროგრესიულ-ლიბერალურის. ხან დემოკრატიულ-რევოლუციონურის, ხან სოციალისტურის. ამ ჟამად ის კომუნისტური იდეებით შეიარაღებული საქმობს და არც საზოგადოებრივი აზრი თავისუფლებაში მყოფ ხალხების და არც ამათი პრესა და პოლიტიკური ხელმძღვანელნი, ამ მოვლენას არ უწევენ ღირსეულ წინააღმდეგობას

როგორც ვხედავთ, პან გერმანიზმი, დღეს დღეობით მაინც პან ევროპეიზმის (მშობიერების მწარე კრიზისს რომ ვანიცდის) კალაპოტშია მომწყვდეული, ხოლო პან რუსიზმის მახინჯი სახე შიშის ზარსა ჰგვრის ევროპის მომავალი ბედით დაჯავრიანებულსა და დაუბრმავებელ ფენებს კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრისას. რიურიკებით დაწყებული, ივანე მრისხანით. პეტრე დიდით, ორთავე ნიკოლოზით გაგრძელებულ რუსულ ძირეულ პოლიტიკას, არას დროს არ უწარმოებია ისეთი დაუფარავი, დაუღალავი, მერკანტიული და ყოველგვარ საკაცობრიო ან მეზობლურ მორალს და ელემენტებს დაშორებული ვერაგი და მსუნაგი დიპლომატია და სტრატეგია, როგორც ამას დღეს ბოლშევიკურ და კომუნისტურ ნიღაბ ქვეშ ამოფარებული საბჭოთა (რუსული) მთავრობა სჩადის. რაც სტალინმა ვერ დაათავა, იმას ხრუშჩევი და ბულგანინი ასრულებენ ხელში შემორჩენილი ერთად ერთი «ტუზემცი»-ს მიკოიანის დასტურით.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ეს ხელისუფლება დაწესდა რუსეთში და უსამართლობა იქნებოდა არ აღინიშნოს მის სასარგებლოდ ის ფაქტი, რომ მას ე რ თ ი და მკაფიოდ მოხაზული პოლიტიკა აქვს და მას სინამდვილეშიც ატარებს.

დასავლეთის ცივილიზაციის წარმომადგენელ ქვეყნებს კი არც ე რ თ ი პოლიტიკა მოეპოებათ, არც ურთიერთ შორის გაგებისა და ინტერესთა დალაგების უნარი გააჩნიათ და ამიტომ ვერც იმ ძალების გამოყენების სტიმულს ჰპოულო-

ბენ, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს რუსულ აგრესიას და იმპერიალიზმს.

ეს ძალები არსებობენ და მათი დაუშრეტელი წყარო ის უამრავი ტომები და ერებია, რომელნიც რუსულ ციხეში არიან დამწყვდეულნი ევროპიული ცივილიზაციის მესვეურთა დაუდევრობის, გაურკვევლობისა თუ ეგოიზმის წყალობით. ეს ის ძალებია, რომელთაც ვერავითარი მოვლენები ვერ გაანეტარებენ, ვერც გააქრობენ და რაგინდ დიდი პაქტი არ შეიკრას რუსეთთან, ყველგან და ყოველთვის, უჩინ-მაჩინის ქუდივით წინ გადაეღობებიან ყალბად გადაჭრილ პრობლემებს, რომ უკანასკნელ წუთამდე შეასრულონ როლი სამართლიანობისა მოდარაჯეთა მსოფლიო სინიდისის და სამართლიანობისა.

დიდთა მიერ ურთიერთშორის ხელმოწერილი პაქტები იმ დრომდე ვერ მოიტანს ზავს, სანამ ეს ხალხებიც არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მისწრაფებებში.

არა ვფიქრობთ, რომ აიზენჰაუერის ქოლგა ჩემბერლენის ქოლგაზე უფრო მოხერხებულად დააყუჩებს დიქტატურით შეპყრობილსა და გაცოფიანებულ ტვინებს ისეთ ეპოქაში, როდესაც მხოლოდ რეალური სამხედრო ძალები, მოკავშირეთა ერთსულოვანება და აუცილებელი სოციალური რეფორმები გადასწყვეტენ მსოფლიოს ბედს.

კომპრომისებიც მხოლოდ პირწმინდა კაპიტულაციის მომასწავებელია იმ ხალხის წინაშე, რომელმაც არსებითად თვითონაც არ იცის თუ როგორია მისი გეოგრაფიული საზღვრები, რა მიზნით მიჰყვება ის თავის მთავრობას და ბრმად იბრძვის ყველანაირი რეჟიმისა და ორიენტაციისათვის. ასეთი ფსიქოლოგია რუსული მასებისა ზედმიწევნით ესმისთ მოსკოვის დესპოტებს და როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში მხოლოდ პოზიციებს იმაგრებენ პროგრესიული ხალხების ერთსულოვნობის შემრყევ ექსპერიმენტებში. კომპრომისს მაშინა აქვს ფასი, როდესაც ის ორივე მხრიდან არის გაწეული.

მოკავშირეებმა ბევრი დაუთმეს რუსეთს, მაგრამ ლოდიკურია დაიბადოს კითხვა: გაუქმდა თუ არა კომინფორმი, მოესპო თუ არა სადივერსიო რესურსები ყველა ქვეყნის კომპარტიას, თანახმანი არიან თუ არა გერმანიის, კორეის, ინდოჩინეთის და სხვათა გაერთიანებისა თავისუფალი და ძალდაუტანებელი რეფერენდუმის საშუალებით...?

კომპრომისი თუ იმას ეწოდება, რომ 1945 წ. გასანთავისუფლებელი სამხედრო ტყვეები მხოლოდ 1955 წ. (ისიც ნაწილობრივ) ეღირსნენ ასეთ ბედნიერებას, მაშინ რაღა იმედი უნდა იქონიონ იმ ხალხებმა, რომელნიც 1917 წლიდან მოყოლებული რიგ-რიგად იქნენ დამონებულნი და დაპყრობილნი რუსეთის მიერ?

ამგვარი უწონასწორობისა და ყოვლად უშინაარსო შიშის ფსიქოზის მეტი გაგრძელება რომ შეუძლებელია, ამის შეგნება, მძიმეთ, მაგრამ თანდათანობით. მაიხც ეტყობა მსოფლიო პრესას, მხოლოდ საკითხს ეს პრესა ვერ აყენებს გაბედულად და გარკვეულად. ასეთი მერყეობა კი უფრო მეტად ამხნევებს რუსულ აგრესიას და ჭარბი სტიმულით ამოძრავებს მას.

ყენევის სულით, დამოშმინებით და დამშვიდებით დაიმედიანებულმა კაცობრიობამ მალე დაინახა, რომ ყველასფერი ეს სიყალბე. სიცრუე და მანევრი იყო, რომ ასეთი სულისკვეთება ოდნავადაც არ ჩასახულა რუსეთის მეთაურთა აზრებში და რომ, პირიქით, დაშლილსა და პოლიტიკური გეზის არა მქონე ხალხებს რუსეთმა დაუპირდაპირა გაკაქებული ნებისყოფა მთლიანი, უცვლელი და მეთოდიური ერთადერთი პოლიტიკის:—მსოფლიოს დამორჩილებისა და რუსულ სისტემაზე აწყობისა—.

სამაგიეროთ, ამგვარ ურყეველს და ერთ რუსულ პოლიტიკას ისეთი ვითარება დაუპირდაპირდა, რომ. ერთხანად, ამერიკა, ლამის იყო, რუსეთთან უშუალო მოლაპარაკების გზაზე დგებოდა, რომ ატლანტიკის პაქტი დროზე არ მოშველებოდა ქვეყანას.

ამერიკამ და ინგლისმა ამის შემდეგაც ვერ შეიკავეს თავი და ფარულ კონკურენციას უწევდნენ მათ მოკავშირე საფრანგეთს აზიაში და აფრიკაში, ხოლო ამერიკა და ინგლისის ხშირი მეტოქეობა მცირე აზიაში საშუალებას აძლევდა საბჭოებს. რომ დასავლეთის წყლებით საკუთარი წისქვილები დაეტრიალებინა და გასაჭანი მიეცა როგორც შიშის ფსიქოზის დათესვისათვის იმ ხალხებში, სადაც მას ფეხი უნდა შეედგა. აგრეთვე ანტი-დასავლეთური პროპაგანდის მათში გაღრმავებისა და გაფართოვებისათვის.

ყველა ამ ნიუანსებმა გული აუცრუა ტიტოსაც, საბერძეთსაც და ოსმალეთსაც ბალკანეთის იმ პაქტზე, რომელსაც ატლანტიკის კოალიციასთან ერთად უნდა ემოქმედნა პარალელურად და ნაცვლად თანამშრომლობისა და ერთსულოვნობისა ყოვლად დაუშვებელი ქლეტა-ხოცვის აქტები იქნა ჩადენილი საბერძნეთში და ოსმალეთშიც.

ცხადია. რუსეთს ვერავინ დააჯერებს იმ სეპარატიული და მალული მოლაპარაკების ცდების გულწრფელობაში. რომელსაც დღეს ყველა სათითაოდ ეძებს, მაგრამ ხეჭრუს თუ საერთამორისო ორომ-ტრიალში პირველ-ხარისხოვანი როლის თამაშის პერსპექტივები წამოეშალა თვალ-წინ, ნასერს დიდი იმედები მიეცა მოსკოვის საშუალებით პოზიციების გამაგრებისა ისრაელზე შურის საძიებლად და დასავლეთის პრესტიჟის საგრძნობლად შესასუსტებლად როგორც ახლო და მუა აღმოსავლეთში, აგრეთვე გაერთიანებულ ნაციათა ორგანიზაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული პრობლემის გასაგებად მიუცილებელია როგორც ისტორიის შესწავლა, ისე რუსული ფსიქოლოგიის მეცნიერული ანალიზი და არა პოლიტიკური კაპრიზი და სპექტაკულარული დიპლომატიური ჟესტები.

რუსული სახელმწიფო თუ ერთის გზით მიდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამავე გზით უნდა წასვლა იქ მომწყვდეულ ტომებს, ხალხებს და ერებსაც.

ამის გაგება იმისთვისაც არის საჭირო, რომ დღემდე წარმოებულ, გზა-აბნეულ, უსაფუძვლო, უპერსპექტივო, და უკვე დამარცხებულ, პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოს და ჰორიზონტზე ისეთი წერტილები აღმოჩნდეს. საიდანაც უნდა იქნეს შენიშნული რუსული სისუსტე: მისი ეთნოგრაფიული სიჭრელე, ნაციონალურ-ფსიხოლოგიური არევ-დარევა, ჩუმი და ფარული. მაგრამ ბევრის მომასწავებელი შინაური ბრძოლა და მინა ინტერესთა აშკარა ანტაგონიზმი. საჭიროა ღრმა შესწავლა ცალკეთ აღებულ ხალხთა სულისკვეთებისაც და თვით რუსის ხალხის ბუნებისაც.

თავის დაარსებიდან დღემდე, რუსეთი ყველას არუსებს, მაგრამ გარუსებული ჯერაც არავინ აღმოჩნდა.

ეროვნულ-კულტურული წინსვლის შეჩერება ბევრს დაეტყო, მაგრამ ყოველი ერი გააფთრებულის სიფხიზლით ინარჩუნებს თავის ორიგინალობას და თუ ხმას არ იღებს, ეს იმიტომ ხდება, რომ რუსულ ტლანქ ძალისა და მსოფლიო ხელმძღვანელთა დაუდევრობასა და გაურკვეველობის გარდა, ის ვერაფერს ვერ ჰხედავს.

სამაგიეროთ ის დასავლეთლებზე უკეთ ითვალისწინებს იმ აგრესიას, რომელსაც რუსეთი ამზადებს წერით, ქადაგით, რადიო-გადაცემით, ატომიური ყუმბარის მოპარვით და სამხედრო ძალების დაგროვებასთან ერთად ყველა ქვეყნების მშრომელი ფენების დაბრმავებით, ხოლო ამათ ხელმძღვანელ წრეების ხელფეხის შებორკვით.

ბევრს სწერენ და მართალიცაა, რომ კოლონიალურ პერიოდს ბოლო მოეღო, მაგრამ ბოლო მოეღო ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და სხვათათვის და არა რუსეთის თვის.

პირიქით ასეთი ელასტიური, მოქნილი და თითქმის ხარჯგაუღებელი კოლონიალური პოლიტიკა რუსეთს ჯერ არ გაუწევია თავის ისტორიის გასწვრივ.

იალტასა და პოცდამში სტალინმა გაცილებით მეტი ღიმილები მიჰგვარა რუზველტს, ვიდრე ბულგანინმა და ხრუშჩევმა ჟენევაში «სამს დიდს», მაგრამ იქ თუ რუზველტი აღმოჩნდა გაცურებული, აქ მთელი ქვეყანა ჩავარდა ასეთს მდგომარეობაში.

რუსული სადღეგრძელოების ფასი კარგად იცის ქართველმა ხალხმა, რომელსაც არაყი და ხიზალალაც ვერ გააკ-

ვირვებს, მაგრამ თუ ევროპიელებს შეუძლიანთ აღფრთოვანების ექსტაზში ჩავარდნენ ვოდკა ხიზილალა ტოსტებით, მათ ის მაინც უნდა ეგრძნოთ, რომ დანთებულ ვულკანის გარშემო ქაჯური ცეკვების მოწყობა (მოისეევის ბალეტი) მხოლოდ ცდა იყო რუსეთისა ევროპის პულსის გასაშინჯათ.

ჩაგრულმა ერებმა კარგად იციან, რომ ასეთი ვითარება მათ თავისუფლებას არ მოუტანს, ხოლო განათლებული დასავლეთის პოლიტიკური სიბრიყვით იმედ მოწყვეტილნი, იძულებული იქნებიან თავდაცვისა და თავშემონახვის ინსტინქტი გააცხოველონ და ორგანიზაციული მომზადებით, დისციპლინით და ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირით გაიკაფონ განგების მიერ მათთვის მიჩენილი გზები.

კაცობრიობა კი, თავს იტყუებს თუ სხვებს ატყუებს, ასეთ ინსტიქტს საშოშივე უხრჩობს თავის საზოგადოებრივ აზრს და ისეთს პირობებს უმზადებს მას, რომ საჭირო დროს, ვაი თუ, მოუხერხებელიც კი დარჩეს მიძინებული ბრძოლის უნარის-გამოღვიძება.

მშვიდობიანი თანაარსებობა იმ კათეგორიის ლოზუნგებს ეკუთვნის, რომელმაც დრო უნდა მოაგებიოს რუსეთს საომარ სამზადისის დასაგვირგვინებლად, რომ უფრო მძლავრი მუშტი დაარტყას თავისუფალ ქვეყნებს, ვიდრე ეს მან უკვე ჩაგრულ ერებს მოუვლინა.

ამასობაში ახლო და შორეული აღმოსავლეთი «O.T.A N.»ს სულიერად მოშორდა, რუსეთისგან იარაღს იღებს და იქამდეც კი მიდის, რომ რუსული სუსხის ჯერ არ მხილველნი, ხოლო მონობის რიგში მდგარი კანდიდატები, გაკვეთილებს აძლევენ როგორც დიდ სახელმწიფოებს, აგრეთვე ჩაგრულ ერებს, თუ როგორი პოლიტიკური ორიენტაცია და გეზი უნდა აიღონ ეგვიპტე, სირია-ლიბანი და აოაბთა წვრილ-წვრილი ტომები დღეს კავშირსაც კი ჰკრავენ, ვითომდა ისრაელის აგრესიის საწინააღმდეგოთ, მაგრამ საკითხი სულ სხვაა.

რუსეთის საუკუნოებრივი ნატვრის საგანი ყოველთვის იყო ახლოდა შუა აღმოსავლეთში ფეხის შედგმა. ხოლო თუ მოკავშირეთა წინააღმდეგ დარაზმულ ანტი-ოქსიდენტალურ მთლიან ფრონტს ვერ შეჰქმნის, სამაგიეროდ, არაბთა შეიარაღებული ბრბოების პარტიზანული გამოსვლებით ძირს გამოუთხოს ბაღდადის პაქტს და მაჰმადიანური ქვეყნების ერთი მეორეზე გადაკიდებით კომინტერნ-კომინფორმის ერთ მუხლსაც სისრულეში მოიყვანს და ბალკანეთისა და ატლანტიკის პაქტებსაც ან სრულიად წაშლის, ან საგრძნობლად დაასუსტებს.

მართალია, ინტერნაციონალურ მშრომელ კლასებს ეს მოვლენა არაფერს აძლევს (და ეს რუსებს არც კი აინტერესებს), ხოლო თვალსაჩინო განაღდებას მოუპოვებს რუსულ იმპერიალისტურ მიზნებს.

ამ გვარად, რუსეთის ისტორიულ-ტრადიციული და ამავე დროს აუგიანი ექსპანსია იმავე ტაქტიკაზეა დამყარებული, რომლითაც ხელმძღვანელობდა წინა საუკუნეებში სხვა რუსული რეჟიმები.

თუ ეს ყალბი და მოჩვენებითი პაციფიზმი სტალინის მემკვიდრე კოლეგიისა (უფროკი დუუმვირატის) დროზე არ იქნა გამომხეურებული, რუსული ბლეფი და პოლიტიკურ იდეოლოგიური ჩიტირეკიობა ფონს გავა, სერიოზულ მოვლენად იქნება დასახული მოტყუებული კაცობრიობის მიერ და ის შრომა, სისხლი და მსხვერპლი, რომელიც გაიღეს გახათლებულმა ერებმა და სახელმწიფოებმა დღევანდელი მდგომარეობის მისაღწევად, ჰაერში დარჩება გამოკიდებული.

თუ კომუნისტური ხელისუფლების წინამორბედი მთავრობები ადგილობრივი ინტრიგებით და დიპლომატიური ჩხირკედელაობით კმაყოფილდებოდნენ და ყველა კონფლიქტებიდან დამარცხებული გამოდიოდნენ, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ რუსებს აკლდათ ტეხნიკური და კულტურული მარქაფებიც და ნაციონალური დუღაბიც.

სამაგიეროთ, ევროპა-ამერიკის წყალობით საბჭოთა რუსულმა მთავრობამ ტეხნიკური გათანასწორების ნიადაგზე აშკარა აგრესიული ტონი და გეზი აიღო, მაგრამ კულტურულ-ეროვნული ჩამორჩენილობის ნიადაგზე ის უთუოდ ხელებს დაიწვავს და რომ ეს არ დაემართოს, პალიატიურ ზომებს (დივერსიას, ბლეფს, მუქარას, ცივ ომს) მიჰმართავს.

საილუსტრაციოდ საინტერესოა მოვიგონოთ გოგოლის «მკვდარი სულები»-ს გენიოსურად დახატული ტიპი მემამულე ნოზდრიოვისა.

ჩიჩიკოვის საინფორმაციო შეკითხვაზე, თუ ვის ეკუთვნის მის ღობე ყორის გარეშე მდებარე მიწები, ნოზდრიოვი გულწრფელის და განცვიფრებულის თვალებით მიჰხედავს მას და კათეგორიულად, თვითონაც რომ არ იცის, რომ სცრუის, უპასუხებს, რომ მასვე ეკუთვნის ღობეს აქეთა და იქითა მამულებიც და რომ ჰორიზონტამდეც და ჰორიზონტს გაშორებითაც ყველასფერი მისი საკუთრებაა.

ასეთია სულისკვეთება ყოველივე რუსისა, ხოლო ამ სულისკვეთების აბსოლუტური განსახიერება რუსული კომუნიზმია.

შორს არ არის ის ხანა, როდესაც ამ ფაქტს მსოფლიო მშრომელი კლასიც გაიგებს, ჩინეთიც და რუსების სხვა სატელიტებიც.

გაგების პირველი რეკორდი ჯერ-ჯერობით ტიტოს იუგოსლავიას ეკუთვნის და როდესაც მოვლენათა ევოლუცია სხვა ქვეყნებსაც ამ დასკვნამდე მიიყვანს, მხოლოდ მაშინ მოხერხდება რუსული სახელმწიფოს არქიტექტურული სიმახინჯის დანახვა და რუსის ხალხური მასების რუსულ ეროვნულ ჩარჩოებში მოკალათება.

ამით თვით რუსის ხალხსაც ეშველება, მის მიერ დამონებულ ერებსაც. თავისუფალი ერებიც სულს მოითქვამენ და მშრომელი მასებიც კონსტრუქტიულ შემოქმედების გზაზე დადგებიან.

მსოფლიო პრესა და მეცნიერული წრეებიც კი, ხშირად უპატიებელის სიმსუბუქით ხსნიან რუსულ პოლიტიკას იმ რუსული მისტიციზმით, რომელშიც მეტი მოიპოვება ცინიზმი, მხაკვრობა და ვირ-ეშმაკობა, ვიდრე რამენაირი მისტიციზმი.

ბოლშევიკურმა რუსეთმა ეს საკმარისის რეალიზმით გამოამქღავნა და ამისთვის მადლობის გამოცხადებასთან ერთად, ბრძოლის გამოცხადების დროც მომწიფებულად უნდა ჩაითვალოს.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის.

ვინაიდან ასეთია აზრი რუსულ ციხეში ჩაცვენილ ყველა ერისა, საჭიროდ მივიჩნიოთ ისიც, რომ თუ მშვიდობიანის საშუალებებით არა, სხვა ღირსეული ზომებით მაინც მისწვდეს ეს აზრი გაერთიანებულ ნაციათა ორგანიზაციას.

X.

ჩვენი ეკლესიისათვის.

ერთობ მძიმე დავალება თავს მომახვია «იეერია»-ს რედაქტორმა: ვაუწყო ჩვენს მკითხველებს ზოგირამ ცნობები საქართველოს ეკლესიაზე და დამატებით მის ამჟამინდელ ყოფაცხოვრებაზე. ძველი თაობა ჩემზე ნაკლებათ არ არის ჩახედული ამ საკითხში, ამიტომ ჩემი ნაწერი მას არაფერს შესძენს და არც თუ ისე გამოადგება. ვფიქრობ, რომ რედაქციას მხედველობაში ჰყავს მოზარდი თაობა—მოწყვეტილი და აშორებული სამშობლო კერას. ზერელეთ მცნობი ჩვენი ქვეყნის წარსულისა და თავგადასავალისა, ხოლო უმეტესათ მისი ეკლესიის მნიშვნელობისა და ღვაწლმოსილობისა სახელმწიფოსა და ხალხისათვის. ამისა გამო დავალების უკუგდება უკადრისობათ ჩამეთვლებოდა ... და უკეთუ ჩემი ეს მოკლე ზეპირნაწერი ფიქრებს აღუძრავს ჩვენს ახალგაზრდებს, შეაწევს ზოგიერთ მისთვის უცნობ ამბავს, მეც კმაყოფილება მომენიჭება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა მოციქულთასწორის ნინოს სახელთან არის განუყრელათ შეკავშირებული. ამ კაპადოკიელმა ქალწულმა მოგვცა, გრიშაშვილის ნათქვამით რომ ვისარგებლო, «რჯული ღვთივმშვენიერი და კერპშომონი დაგვაწყევლინა». წმიდა ნინოს ჯვარი მისივე თმებით გადაბმული ასვენია სიონის ტაძრის კანკელზე (ბერძნულათ—იკონოსტას). ქართველთა ამ უდიდესი სიწმიდის

გამოსვენება ტაძრის შუაში ხდებოდა წელიწადში ერთხელ 14 იანვარს—ნინოობას. ამ დღეს მოზღვავებულ მლოცველთ ხანდასმული, საქართველოს შვებათა და ჭირთა მოწმე, სიონი ძლივს იტევდა. რუს-ეგზარხოსების დროს ამ დღეს სიონში ღვთისმსახურებას ასრულებდნენ მხოლოთ ქართველი ეპისკოპოსები და სამღვდელოება ქართულათ. ამავე დღის შემკრებილობითმა სულიერმა აღფრენამ გრიშაშვილს შემდეგი სტრიქონები გამოაქარგვინა:

წმიდაო ნინო! როცა თენდება
და ცა ირთვება შვინდისფერ ისლით,
შენი სიონი გამახსენდება...
მოვდივარ შენსკენ სიდარბაისლით,
და როგორც ქარი ვარდს მიაქანებს,
მეც მოვქრი შენსკენ. და ფილაქანებს
ვნესტავ მონადენ ცრემლის არხებით...

რუსეთის სინოდისმიერ მიტაცებული თვისთაოსნობა (ბერძნულით—ავტოკეფალია) საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა ერთი წლით ადრე ვიდრე ჩვენმა სახელმწიფომ იმავე რუსეთისმიერ ასევე წაგლეჯილი სუვერენობა (12 მარტი 1917; 26 მაისი 1918). ადვილი არ იყო მიღწევა და განაარსება ამ მიზნისა. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ საერთო აღრევასა და პირველყოვლის იმ გარემოებას, რომ რუსები ყველა მიმართულებისა და წოდებისა უსაზღვრო მტრულათ ეპყრობოდნენ (და ეს არც ეხლა შეცვლილა!) ყოველგვარ ქართულ წამოწყებას, როცა კი შეჰნიშნავდნენ «მთლიანი და გაუყოფელი რუსეთის» მებღალვის ნიშნებს...

ასეთივე მიმართება გამოიჩინეს მათ საქართველოს ეკლესიისადმი. რუსეთის სინოდი და ობერპროკურატურა იმაზე კი არა ზრუნავდა, რომ გადაესინჯათ 1811 წლის საეკლესიო კანონთა დამფუშავი, უძველესი ეკლესიის თვითმყოფობის მოსპობის ძალმომრეობითი აქტი. არამედ მლიანი თავისი მოქმედებით ადასტურებდნენ საუკუნის წინათ ჩადენილ უსამართლო საქციელს. ცნობილია, როგორი უკმეხი «ეთაგონებითი ეპისტოლეთი» მიჰმართა მოსკოვისა და სრულიათ რუსეთის პატრიარხმა ტიხონმა თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს (შემდგომ კათოლიკოსი) მცხეთის სამეუფეო ტაძარში ერთსულოვნათ მიღებულ დადგენილებისა გამო: პატრიარხი ტიხონი დაჟინებით მოითხოვდა, რათა ქართული ეკლესიის ყოველი საკითხი შეტანილყოფილიყო განსახილველათ რუსეთის სინოდში და მუნ გარდაწყვეტილიყო მისი ბედიღბალი. ცნობილია აგრეთვე დასაბუთებული დარბაისლური პასუხიც მიტროპოლიტ ლეონიდესი (ტექსტი შედგენილია აწ განსვენებულ კათალიკოს კალისტრატის მიერ—იმ ხანებში მმართველი საკათოლიკოსო კანცელარიისა), რომელშიაც

შემოწმებული ისტორიული ფაქტებით დამტკიცებული არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალი წყობილება, და რუსეთის ეკლესიის მიერ უფლებათა უკანონოთ მითვისება (იხილე ჟურნალ «სამშობლო»-ს მე-9 და მე-10 ნომრებში ეს ეპისტოლე და ჩემი წინასიტყვაობა).

რუსეთის ეკლესიამ იცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოთ მაშინ, როცა მოსკოვის პატრიარხმა სერგიმ შეიტყო, რომ უძველეს აღმოსავლეთის პატრიარხებმა—კოსტანტინოპოლისამ, ანტიოხიისამ, ალექსანდრიისამა და იერუსალიმისამ ავტორიტეტულათ დაამოწმეს თვისი ისტორიული მოძმის კანონიური მართებლობის განახლება. საყურადღებოა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ეკლესია მეცხრე საუკუნემდის ანტიოხიის პატრიარხის ნომინალ ზედამხედველობაში იმყოფებოდა, გარნა ეს საპატრიარხო აროდეს ერეოდა საქართველოს ეკლესიის შინაგამგებლობაში. ნომინალი სახელწოდება დღესაც შერჩენილი აქვს ანტიოხიის პატრიარხს: პატრიარხი სრულიათ აღმოსავლეთისა, ივერიისა... და სხვა.

რაკი შევეხე ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ეპოპეიას, ზედმეტათ ნუ ჩამეთვლება, რომ აღვნიშნო დაუღალავი და თავგამოდებითი ღვაწლი და პრაქტიკული ღონისძიებანი ქართველ მორწმუნეთა ჯგუფისა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის თანხმობითა და მეშვეობით უადვილებდა საკათოლიკოსო ხელისუფლებას ეკლესიის უძრავ და მოძრავ სამკვიდრებელის ყოფილ საექსარხოსოდან მიღებას. იყო არაერთი შემთხვევა, როცა რუსის «ჩერნოსოტენცები» «დუბინებითა» და იარაღით ხელში იცავდნენ მითვისებულ შენობებსა და ქონებას. ამ საშიშ «ოპერაციებში» სახელი მოიხვეჭეს და ეკლესიის მადლობა და კურთხევა დაიმსახურეს: დღეს ჩვენშორის მყოფ დათა ვაჩნაძემ და ჩვენგან უდროოთ განშორებულებმა—ალექსანდრე ასათიანმა, შალვა ამირეჯიბმა, შალვა ქარუმიძემა და ირაკლი წინამძღვრიშვილმა: იდღეგრძელოს პირველმა, საუკუნო ხსენება განსვენებულთ!..

აღდგენილ ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტახტზე აღყვანილიქმნა, როგორც მოსალოდნელი იყო, ღვაწლშემოსილი ეპისკოპოსი კირიონი. კათოლიკოსების სიის გაგრძელებით მას ეწოდება კირიონ მეორე: კირიონ პირველი კათოლიკოსობდა მეექვსე საუკუნეში. რუსული ეკლესიის ქვეშემყოფობის პერიოდში კირიონს აკრძალული ჰქონდა სამსახური სამშობლოში; ის მღვდელმთავრობდა რუსეთში, საიდანაც დაბრუნდა საეკლესიო კრების მოწვევის წინადღეებში (ენკენისთვე 1917). კათოლიკოს კირიონს დიდი პატივი ჰქონდა მოხვეჭილი ქართველ საზოგადოებაში, რაიცა მან ერისკაცობიდანვე დაიმსახურა. 48 წლისა იყო, როცა ბერათ აღიკვეცა; წინათ დირექტორობდა გორის სასულიერო სასწავლებელში

«სტატსკი სოვეტნიკის» ხარისხით. კათოლიკოსი კირიონი იყო მეცნიერი აგიოლოგი, საეკლესიო ისტორიკოსი და ლიტერატორი. როცა ბერათ შესდგა, სწერდა ე. კ. (ეპისკოპოსი კირიონი)-ს ინიციალებით. კირიონის რუსულმა წიგნმა «კულტურნაია როლ ივერიი ვ როსიი» (1911) აღტაცებული გამოძახილი ჰპოვა ქართველებში, რუსულ წრეებში კი ჭმუნვა და უკმაყოფილება: წიგნში ნათლათა სჭვივის ქართული კულტურის პრიორიტეტი..:

ჩვენი ეკლესიის თანამედროვე ვითარება? თავისთავათ ცხადია, რომ ვვრც ის გადაურჩებოდა ყველა იმ შეიწროებასა, გამუდმებულ შეურაცხყოფასა და ამათუიმ სახით დევნას, რაიცა კომუნისტურ სამფლობელოში წილათა ჰხვდა ყოველ აღსარებათ, ხოლო საზღვარუდებ უშვერობითა და სიმძიმით მართლმადიდებელ ეკლესიას.

ბოლშევიზმის მთლიანათ აღებულ გეზს მონური ქვეშევრდომობით მისდევს მოსკოვის საპატრიარხო, რომელსაც ფაქტიურათ ხელმძღვანელობს ანაფორაში ამოფარებული, ჩეკის აგენტი, კრუტიცკის მიტროპოლიტი ნიკოლოზი. მოსკოვის საპატრიარქო გულმოდგინეთა და გატაცებით მისდევს იმ მემაძრწუნებელ «ფორმულას», ოციოდე წლის წინათ პატრიარხმა სერგიმ რომ გადისროლა სამღვდელოების საყურადღებოთა და სახელმძღვანელოთ: «საბჭოთა ხელისუფლების სიხარული—ჩვენი სიხარულია, მისი მწუხარება—ჩვენი მწუხარება»! იმ დღიდან მოყოლებული და ასე გასწვრივ, ეს «ფორმულა» მიღებული არის «სოვეტურ» ეკლესიაში, ვითარცა სახელმძღვანელო და აღსასრულებელი იმპერატივი!..

საქართველოს ეკლესიას ამ-ჟამათ განაგებს მცხოვანი მოხუცი კათოლიკოსი მელქისედეკი (ფხალაძე), ძველათ ღამსახურებული პედაგოგი დასავლეთ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში, თვითონ სწავლადამთავრებული კაზანის სასულიერო აკადემიაში.

მუხრუჭადებულ საქართველოს მარიონეტული «მთავრობა» ყურმოჭრილათ ასრულებს ყველაფერს, რასაც მისი მოსკოველი ბატონები განუმარტავენ და უბრძანებენ ცნობა არა მაქვს, რომელი გვამი «ობერპროკურორობს» ჩვენში ის კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ფუნქციების მქონე ვერ გადუხვევს მოსკოველ «ობერპროკურორის», ჩეკიდან მივლენილ კაპოვის «საეკლესიო» ხაზს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ჩვენ შევიძინეთ ნაციონალურ-რევოლიუციური გზითა, ზომებითა და გარჯით. როგორიც უნდა იყოს მისი აწინდელი მდგომარეობა—ის კი მწუხრის კაეშანით გარსშემორტყმულია—, ქართველობა ერთობლივათ არის და იქნება მის გვერდით და მის სამსახურში. განვლენ ბორბტი დღენი! ქართველი ერი განიბღერტავს მისაკმი მოღებულ კომუნისტურ ჭუჭყს, და კვლავ აღ-

იმართება ქართველთა თავმომყრელი—დიდებისა და შვების, დღეს დაფხრეწილი—დროშა!...

ვერიდებოდი, მაგრამ მაინც ვიიძულები ამ ნაწერს post scriptum ის სახით დაურთო ქვემო ნაწერი: მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენთვის არ უნდა იყოს მხოლოთ კატეგორია მამაპაპეული რჯულისა, რომელსაც ჩვენ უნდა მივდევდეთ ტრადიციულათ, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობითი შეცნაურებითა, ჩვეულებითა და აყოლით. მამაპაპეულობა ბევრ შემთხვევაში არ არის წარსაზიდი, პირიქით ხშირათ დასაწუნიც არის და უკუსაგდებიც. ხოლო მივდევთ ჩვენს ეკლესიას და დაუბრკოლებლათ ვემსახურებით მას მხოლოთ იმიტომ, რომ მას ვგულისხმობთ სარწმუნოებრივ თვალსაზრისით ისეთ ფენომენათ, რომელიც უცთომელათა, გადაუხრელათა და შემტკიცებით ინახავს და იცავს ოთხთავ სახარებაში მოცემულ მაცხოვრის მცნებასა, მოციქულთა და ეკლესიის დიდ მოძღვართა სწავლებას.

ცნობები მოდის, რომ ზოგიერთნი ქართველ მორწმუნე გადმოხვეწილთა შორის «რელიგიურ ძიებაში». არიან, ეჰვით შეპყრობილნი «მამაპაპეულ» სარწმუნოებისადმი. სულიერ მოთხოვნილებას ასეთები თურმე იმგვარ სიძლიერით გაუტაცნია, რომ მათ ხელთუღიათ «შედარებითი მეთოდი», მამაპაპეულობა» აუწუნებიათ და დაუგმიათ, ხოლო უპირატესობა სხვა აღსარებათათვის მიუკუთვნებიათ. მე—ცოდვილს—ეჰვი მეპარება, რომ «მაძიებელნი» უზომოთ ჩახედულიყვნენ რელიგიურ დისციპლინებში და აქ, საზღვარგარეთ ხელთეღოთ აპოლოგეტური თეოლოგიის შესწავლა!...

კათოლიკოს ანტონ პირველის (1744—1755; 1763—1788) მაგალითით ნურავინ ინებებს წახალისებას: ეს დიდი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი მატემატიკოსი, აპოლოგეტი, ლოგიკოსი და ფილოლოგი (მისი «ქართული ენის გრამატიკა» დღესაც მიმჩნეული არის სანიმუშო თხზულებათ; ისიც დავიხსომოთ, რომ ჩვენი ისტორიკოსები მეთვრამეტე საუკუნეს ანტონ კათოლიკოსის საუკუნეს უწოდებენ) მცირეხის გაძდგომის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა «მამაპაპეულ» რჯულს. როცა ანტონ კათოლიკოსის მოწინააღმდეგე თეიმურაზ მეორე (1733—1762) გარდაიცვალა, ერეკლე მეორემ (1762—1798) რუსეთში გადახიზნული კათოლიკოსი გამოიწვია და ანტონ პირველი აღსრულებამდის ბრძნულათ განაგებდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას: Sapienti sat, ამბობს ლათინური თქმულება—ბრძენთათვის საკმარისია!...

რ. ინგილო.

რუსული კომუნიზმისაგან მსოფლიოს დაცვისათვის.

წარსული წლის უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში მრავალი და მნიშვნელოვანი ფაქტები წამოიჭრა საერთაშორისო პოლიტიკის სარბიელზე.

რუსებმა უჩვეულო ცხოველმყოფელობა და უტაქტო აქტივობა გამოიჩინეს, როგორც ახლად განთავისუფლებულ აზიის ერთა (ინდუსები, ბირმანელები, პაკისტანელები, კაშმირელები, ავღანები) ისე იმ ქვეყანათა მიმართ, ვინც აღნიშნულ ერებს დამოუკიდებლობა მიახიჭეს. ამგვარივე უტაქტობის პერსპექტივების წინაშე დგანან აფრიკის და აზიის ტერიტორიაზე მობინადრე ქვეყნებიც: ეგვიპტე, ისრაელი, სირია, ლიბანი, ეთიოპია და სამხრეთ აფრიკის ჯერ კიდევ მანდატების ქვეშ მყოფი ერებიც და მათი მანდატორებიც.

ამ ხალხთა ბუნებრივი სიმდიდრის ცივილიზაციის საჭიროებისათვის არ გამოყენება ნამდვილ სიღატაკის წინ დააყენებს არა მარტო მანდატორებს, არამედ მთელს თავისუფალ დასავლეთს.

აფრიკაში 900 მილიონი მცხოვრებია. მსოფლიო თვალჯავაირის 98%, ოქროს 55%, ტყვია-სპილენძის 22%. მსოფლიო ურანიუმის უდიდესი პროპორცია აქ არის მოთავსებული.

ამერიკელებმა მხოლოდ მაშინ დაიწყეს ასეთი საფრთხის წინაშე საზოგადოებრივი აზრის თვალის ახელვა, როდესაც რუსებმა აქტიურად ააფათურეს ხელები აღნიშნულ რაიონებში.

საგანგებო პერიოდიული ორგანოს გამოცემის მიზნით, როგორც საფრანგეთის პრესა გადმოგვცემს, ამერიკის მთავრობამ ერთგვარი მობილიზაცია მოახდინა სამი დარგის სპეციალისტთა: პოლიტიკაში—სტიფენსონი, მწერლობაში—ჰემინგვეი და ეკონომიკაში—ჯონ გუნტერი.

ამით ის ფიქრობს თავის ხალხს და მთელს თავისუფალ კაცობრიობას გააგებინოს და შეაგნებინოს ფასი აფრიკის კონტინენტისა მომავალი თაობებისათვის. ამავე დროს საბჭოთა რუსეთი ემისრებს უკვე ოფიციალურადაც აგზავნის აღნიშნულ რაიონებში და ჰპირდება მათ ეკონომიურ, ფინანსიურ და სამხედრო დახმარებასაც. ვინაიდან ცნობილია, რომ ასეთი დახმარება უკომპესაციოთ არ დარჩება, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის არაოფიციალური აგენტები უკვე კაი ხანია რაც იქ მუშაობენ.

ამიტომ შეცდომა იქნება არ აღინიშნოს ტიტოს მოგზაურობა ჯერ ინდოეთში და შემდეგ აბისინიასა და ეგვიპტეში. უნდა ვიფიქროთ, რომ ბანდუნგის კონფერენციაზე დამსწრე

ტიტომ მცირე როლი არ ითამაშა ბულგანინი ხრუშჩევისათვის კვალის გაყვანაში შორეულ აღმოსავლეთში სამოგზაუროთ და ასეთივე უნდა იყოს მისი როლი რუსების მოსალოდნელ მოგზაურობისთვის ეთიოპიასა და ეგვიპტეში.

ოსმალეთი და საბერძნეთი ერთმანეთს ვერ მიესევოდნენ, ტიტო რომ საბჭოებს არ შერიგებოდა და ამით ბალკანეთის პაქტი არ ჩაეშალა. აქ გამოჩნდა დახელოვნებული და გამოცდილი ინგლისის დიპლომატიის პირველი დიდი მარცხი, რაც ბაღდადის პაქტმა არა თუ არ დაფარა, პირიქით უფრო თვალსაჩინო გაჰხადა. მას უნდა სცოდნოდა, რომ რუსების მიერ დაყრილ სილაზე (ტიტოს იუგოსლავია) შეუძლებელი იყო მკვიდრი და საფუძვლიანი შენობის აგება.

ამნაირად ატლანტიკის პაქტის შესუსტებაც მოსალოდნელია და ინგლის საფრანგეთ-გერმანია-იტალია-ისპანეთ-ბელუქსის ჯერ ურთიერთ შორის მჭიდრო და გულწრფელი შეთანხმების და შემდეგ ამერიკასთან კავშირისაც, ურომლისოდ რუსეთი უნდა გაბატონდეს მთელს ქვეყანაზე.

ამის შეგნებაკი უდავოთ მოითხოვს, რომ პრიორიტეტი არა ვაჭრულ მომენტებს მიენიჭოს აღნიშნულ ქვეყნების ურთიერთობაში, არამედ უზრუნველყოფის (ე. ი. პოლიტიკურს და სტრატეგიულს) პრინციპებს.

მართალია, ევენევის ზაფხული სუსხიანმა ზამთარმა შეცვალა, მაგრამ ამან მარაზმისა და დემორალიზაციის ნაცვლად ისეთი თავდაცვისა და სასიცოცხლო ინსტინქტი უნდა გააღვიძოს თავისუფლებაში მყოფ ქვეყნებში, რომ ვაჭრული პრიმატი ლექსიკონიდანაც კი ამოიშალოს იმ ველური შემოსევის მოსაგერიებლად, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ამზადებს. ამ მოსაზრებით მეტი არ იქნებოდა იმ ძალების გამოყენება ახიისა და აფრიკის ხალხების თვალის ასახელად, რომელთაც გადახვეწილებაში ყოფნა ამჯობინეს რუსეთის ციხეს და ბევრის თქმაც შეუძლიანთ როგორც ინდოეთა და არაბთა გოხზე მოსაყვანათ, ისე სხვა ხალხთა გამოსაფხიზლებლად და ცრუ ილუზიების გასაქრობად.

ემიგრაციაში მყოფი ყოველი პატრიოტი: პოლონელი, ჩეხო-სლოვაკი, ბულგარელი ჰუნგრელი, რუმინელი, ლიტველი, ლატვიელი, ესტონელი, უკრაინელი ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, მთიელი, თურქმენი და სხვა ურიცხვი შვილები ოუსთაგან ჩაგრული ერების დაუფასებელ ადამიანურ და ინტელექტუალურ მორალურ საპროპაგანდო ცოცხალ მასალას წარმოადგენს, თუ ამისთვის სათანადო პირობები შეიქმნება.

X.

იძულებითი ერთა სოლიდარობა.

კომუნისტურმა პრესამ კვლავ დასვა დღის წესრიგში ერთა სოლიდარობის საკითხი. აქედან ნათლად სჩანს, რომ მათ მიერ მრავალჯერ დადასტურებული და დაკვეხნილი ერთა თანასწორობა და ინტერნაციონალური თანხმობა, ისეთივე მითია, როგორც ბევრი სხვა რამ. იმ წლის 20 სექტემბრის გაზ. «კომუნისტ»-ში დაბეჭდილია გ. ქვანიას ვრცელი წერილი «ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისთვის».

ისე როგორც ყოველთვის აქაც განზრახ დამახინჯებულია რუსეთის და კავკასიური ერების ურთიერთობის ისტორია, როგორც წარსულში—მეფის რუსეთის ხანის ისე საბჭოთა რეჟიმის პერიოდის. თითქოს ისე გამოდის, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია, ლენინი და სტალინი იყვენ ერთა მ მვიდობიანობის, მათ შორის კეთილმეზობლური განწყობილების მოციქულნი, სხვები, სხვა პოლიტიკური პარტიები, მხოლოდ იმისთვის იღვწოდენ, რომ ერთა შორის შუღლი და მტრობა დაეთესათ და ერთმანეთზე გადაეკიდებინათ.

აი, რას სწერს გ. ქვანია: «ამიერ-კავკასიაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი ლენინური პრინციპების დამკვიდრება და ამ პრინციპების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდა დაკავშირებული იყო უდიდეს სიძნელეებთან».

სხვა სიძნელეებთან ერთად მათ უხდებოდათ მეფის თვითმპყრობელობის და მის კავკასიელ სატრაპების წინააღმდეგ ბრძოლა სასტიკ არალეგალურ პირობებში. ამასთან ერთად: «საქართველოს და ამიერ-კავკასიაში არსებობდენ მრავალრიცხოვანი ნაციონალისტური მიმდინარეობანი. რომლებიც დაბრკოლებებს უქმნიდნენ ამიერ-კავკასიის მშრომელ თა შორის ინტერნაციონალური კავშირის, ძმური მეგობრობისა და რევოლიუციური მოქმედების ერთიანობის დამკვიდრებას. ესენი იყვნენ ამიერ-კავკასიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესების გამყიდველები: ქართველი ნაციონალ-დემოკრატები, ფედერალისტები, მენშევიკები, დაშნაკები და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები».

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება და მათი მთავარი მიზანიც ეს არის, რომ ჩვენ, არამც თუ ჩვენი მეზობელი ხალხების მოძულენი და მტრები, არამედ თვით ჩვენი ერის ინტერესების «გამყიდველები» და მავნებლებიც კი ვართ.

ჯერ ერთი რათ დასჭირდათ ჩვენი ამ საკითხთან ასე უკულმართად დაკავშირება, მეორეც—რა ისტორიულ საბუთებს ემყარება ავტორი? როდის იყო რომ ჩვენ ვებრძოდით რომელიმე ერს და მის წინააღმდეგ სიძულვილს ვქადაგებდით. აბა

თუ ვისმეს გაუგონია, რომ ქართველ ერს რაიმე მტრული დამოკიდებულება ჰქონია მეზობელ ხალხებთან. შესეოდა მათ დაეპყრო და აეოხრებია. ჩვენს ისტორიაში ამის მზგავსი მაგალითი არ მოიპოვება. პირიქით საქართველოში ოდითვე დამკვიდრებული სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობანი მშვიდობიანად ცხოვრობდენ. არასოდეს, არც ერთ ერის შვილებს არ განუცდიათ დევნა და შევიწროება არც რელიგიურ, არც ეკონომიურ და მით უფრო არც პოლიტიკურ ნიადაგზე, როგორც ეს იყო ძველს რუსეთში და არის ახლაც საბჭოთა კავშირში. სომხები, ებრაელები, ოსები და სპარსულ-თურქულ მოდგმის ხალხის უმცირესობანი, ჩვენში ყოველთვის სარგებლობდენ შეღავათიან პირობებით და ეწეოდეხ მშვიდობიან შრომას.

ხოლო როცა საქართველო დაპყრობილ იქმნა რუსეთის მიერ, გამარუსებელ პოლიტიკასთან ერთად, რათა დაერღვია საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა და ამით შეესუსტებია მისი წინააღმდეგობა, ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის, ასახლებდა რუსებს, სომხებს, ოსებს და გერმანელებს და ამით ქმნიდა ხელოვნურ პირობებს დაეხერგა ხალხთა შორის უთანხმოება და ამით თავის ბატონობა გაეძლიერებია.

მართალია 19 საუკუნეში ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება გამწვავებული იყო, ხოლო ამის მიზეზი იყო თვით რუსეთი და კავკასიაში მისი ადგილობრივი ადმინისტრაცია. თურქეთიდან დევნილ და გამოქცეულ სომხებს ასახლებდა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ისედაც მჭიდროთ დასახლებულ, უმიწაწყლო ქართველ ხალხს საარსებო სივრცეს უმცირებდა შინა იმიგრაციისათვის. ეს ბუნებრივათ იწვევდა ქართველთა უკმაყოფილებას. ხოლო ეს მაინც არ გამხდარა რაიმე სერიოზულ უთანხმოების საბაბი და ფიზიკურ შეჯახების. ქართულ პრესაში ამ ნიადაგზე დავა სომხებთან არასდროს ჩამოქვეითებულა ვიწრო შოვინისტურ ზოოლოგიურ ნაციონალიზმამდის. მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწენი ამ ჩვენთვის სახიფათო მოვლენას ობიექტიურად იკვლევდენ და ცდილობდენ კეთილმეზობლურ ურთიერთობის შენარჩუნებას და მის განმტკიცებას.

ხშირად ამ დავას მწვავე ხასიათი ქონდა, ჩვენ ვიცავდით ქართველი ხალხის ინტერესებს და ვებრძოდით რუსეთის იმპერიალისტურ ბოროტ განზრახვებს და არა მათ მიერ ჩამოსახლებულ სომხებს. შემდეგ როცა ამან ფართო ხასიათი მიიღო და სომხებმა ვარანცოვ-დაშკოვის მფარველობით გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს თვით ჩვენს დედა-ქალაქ თბილისში, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში, რაც უდაოდ ჩვენთვის ეროვნულ საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან სომხეთის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებს ამ პროვინციე-

ბზე პრეტენზია დაებადათ და მისაკუთრებას ლამობდენ, ამ ეროვნულ საფრთხის წინაშე დადუმება ნიშნავდა ქართველი ერის ღალატს და თუ ქართველი კომუნისტები ამ დავას გულისხმობენ ჩვენს «ღალატათ» ამას ჩვენ ვღებულობთ

სხვა დავა და უთანხმოება სომხებთან ჩვენ არ გვქონია და არც მომავალში გვექნება. 1919 წ. სომეხ-ქართველთა ომის ხანებიც ეს პროვინციები იყო და აქაც ჩვენ დავიცავით საქართველოს მიწა-წყალი და არ შევსევივართ სომხებს მათი ტერიტორიის დასაპყრობათ. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ომის წამქეზებელნი და ინსპირატორები იყვენ ძველი რუსეთის ნაშთები ამიერ-კავკასიაში; არა ხაკლებ როლს თამაშობდა ბოლშევიკური რუსეთი საომარ ცეცხლის ასანთებათ. მათი სურვილი იყო ამით ესარგებლათ და კავკასიურ ერების დამოუკიდებლობისთვის ბოლო მოეღოთ. 1919 წელს ეს მათ ვერ შესძლეს, მაგრამ ადვილათ მოახერხეს შემდეგ წლებში და ერთი მეორეზე დაამხვეს კავკასიური ერების თავისუფლება.

სულ სხვა ხასიათი ქონდა სომეხ თათართა უთანხმოებას და ხოცვა-ყლეტას, რასაც იგივე რუსეთის ფარული აგენტები აწყობდა, ხოლო არა სტალინი გამოდიოდა შუამავლად და შემარიგებლად, როგორც ამას გ. ყვანია სწერს, არამედ ქართველი მოღვაწენი და ქართველი მეხშევიკები. ეს ხომ ისტორიული ფაქტია, რომ ისიდორე რამიშვილმა და სხვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიის დავალებით, შეაჩერეს თათარ-სომეხთა ყლეტა და კიდეც შესძლეს მათი დაზავება და მშვიდობიანობის ჩამოგდება. რა შუაშია აქ სტალინი და ერთი მისი საგაზეთო წერილი?

ბოლშევიკებს სიმართლე და ისტორიული ფაქტები არაფრად აინტერესებთ და ვერ მოვთხოვთ მიუდგომლობას; იქ ყველაფერი ნავარაუდებია პროპაგანდული მოსაზრებით და არა ჭეშმარიტების დასაცავად. თუ ეს დაჩლუნგებული ხმალი პროპაგანდის კიდევ ერთხელ მოიქნიეს ჩვენსკენ, ალბათ რაღაც თავიანთი შინაგანი გასაჭირი და დაბრკოლება აქვთ და ეს სხვას ვინმეს უნდა გადააბრალონ.

გულმოდგინეთ ცდილობენ დამალონ, მაგრამ ყოველთვის ამის მიჩქმალვა არც ისე ადვილია. არ შეიძლება მტრული განწყობილება არ იყვეს საერთოდ საბჭოთა კავშირში ერთა შორის და კერძოთ საქართველოში, რადგან ის გამომდინარეობს თვით ოეკონომის, მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური სისტემისაგან. ჩვენ გვაქვს პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობები საქართველოს შესახებ, რომ იქ ძალზე გამწვავებული დამოკიდებულებაა ქართველებსა და ჩამოსახლებულ უცხოელთა შორის. ჯერ კიდევ ამას წინეთ დაბრუნებული გერმანელი ტყვე, რომელმაც იმუშავა თბილისში, რუსთავში, ჭიათურაში და ქუთაისში, თავის მოგონებაში

აღნიშნავდა: ქართველ მუშებს კონკურენციას უწევს უცხოელები, უმთავრესად რუსები და სომხები, არის ისეთი შემთხვევები, რომ მათ შორის შეტაკებაც კი ხდება, რუსები შიშით ღამე ქალაქში ვერ გამოდიანო.

თბილისში და ყველგან საქართველოში რუსები, სომხები, აისორები, ოსები და აზერბაიჯანელები უფრო მეტად სჩანან, ვიდრე ქართველები. ასეთია ტურისტების და ახლახან დაბრუნებულ ჟურნალისტების შთაბეჭდილებანი: თბილისში პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მათ მიიღეს იყო გარეგანი ჩაცმულობა მცხოვრებლებისა აღმოსავლური სტილისა, რაც მათ მიამგვანეს ბაბილონის გოდოლს (Tour de Babel), სადაც ქართველებში აღრეულია სომხები, თათრები, თურქები, ჩერქეზები, ქურთები და რუსები («Monde» 30 სექ. 1955 წ.).

ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა ამის დამამტკიცებელი ბევრი ფაქტი თვით საქართველოს ცხოვრებიდან, სადაც ხშირად იმართება მოხსენებები, ქართველ-უცხოელების საგანგებო «მეგობრული» შეხვედრები, მათ შორის მტრული დამოკიდებულების შესანელებლად, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის და სიტყვიერ მეგობრულ გრძნობების გამოთქმის შემდეგაც მდგომარეობა იგივე რჩება.

გამარუსებელ პოლიტიკაში მეფის რუსეთს, არც მოსკოვის ბოლშევიკური რუსეთი ჩამორჩება. პირიქით ძველ ვოსტორგოვის ნაცოდვილარს დღეს ჩრდილს აყენებენ უფრო მოხერხებულად და თვალმაქცურად ახალი ვოსტორგოვები. სახელმწიფო დაწესებულებანი, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტები სავსეა მეტად საეჭვო რასის პროფესორებით. ყველგან რუსული ენაა გამეფებული. ქუთაისში იმდენად დიდია რუსების რაოდენობა, რომ მათთვის ყოველდღიურ გაზეთსაც კი სცემენ რუსულ ენაზე, რასაც ძველი რუსეთის დროსაც კი არ ქონია ადგილი. წარმოიდგინეთ რუსი დეპუტატებიც კი ბევრია არჩეული საქართველოს უმაღლეს საბჭოში. ეს სულ უბრალოდ, რუსეთის ერდგულების დასამტკიცებლად და გულის მოსაგებათ.

ასეთ გარემოებაში ბუნებრივია ქართველ ხალხში თავი ეჩინა უკმაყოფილებას უცხოელების მიმართ. ქართველი კომუნისტები ცდილობენ ეს უკმაყოფილება შეანელონ ინტერნაციონალური სოლიდარობის ქადაგებით, ლენინის და სტალინის ციტატებით ჩაუნერგონ ქართველ ერს დიდი რუსეთის სიყვარული და პატივისცემა.

გ. ყვანია ასე ამთავრებს თავის წერილს: «ისე როგორც ლენინმა ჩაუნერგა რუსის ხალხს ამიერ-კავკასიის თავისუფლების მოყვარე ხალხისადმი მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობა. სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა აღზარდეს ამიერ-კავკასიის მშრომელები დიდი რუსი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით». ამას სრულიად ხელი

არ შეუშლია არც ლენინისა და არც სტალინისათვის დაეპყროთ ხელმეორეთ ცეცხლით და მახვილით ეს თავისუფლების მოყვარე კავკასიური ერები და იქ საბჭოთა დიქტატურა დაემყარებიათ, მიუხედავათ ხალხთა ნება-სურვილისა.

«საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების სულისკვეთებით მასების აღზრდის დიდი და სახელოვანი ტრადიცია, თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა და თვლის დღესაც საქართველოს მშრომელების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით». ასე ასკვნის ხსენებული წერილის ავტორი, თვითონ მეტათ კმაყოფილი ქართველი ერის ხარჯზე და დიდი რუსეთის იდეით შეპყრობილი, არავითარ სამაგიეროს არ მოითხოვს რუსეთისაგან, რომ ელემენტარული უფლებები მაინც იქნეს დაცული იმ ერის, რომელსაც ის ეკუთვნის

ჩვენის ღრმა რწმენით იმისათვის, რომ დამყარდეს ერთა შორის მეგობრობა და მტკიცე კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა, სრულებით საჭირო არ არის იძულებით და შიმშით სიყვარულის შექმნა და ძალით თავზე მოხვეული თანამშრომლობა. არც ის არის საკმარისი, რომ ბოლშევიკურ რუსეთმა, ისე როგორც მეფის რუსეთმა აწარმოოს გამარუსებელი პოლიტიკა, პატარა ერები გადააქციოს კოლონიათ და სცარცვოს შეუბრალებლად მათი სიმდიდრე, სიტყვით კი იქადაგოს ერთა თავისუფლება და თანასწორობა, სინამდვილეში კი ყოველდღიურად ანგრიოს მათი ეროვნული ცხოვრება.

როცა საქართველოს დაპყრობის პირველ ხანებში, დამშეულ რუსეთიდან მოაწყდა უამრავი რუსი და სხვა ეროვნებათა კომუნისტები, რამაც ქართველ კომუნისტებს მეტად გაუძნელა თანამდებობის შენარჩუნება, რაც ერთ-ერთი მიზეზიც იყო უკლონისტური მოძრაობის, ერთ ძველ კომუნისტს —ნესტორ ცერცვაძეს კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე მწარე სიტყვები ათქმევინა: «მარქსი ამბობდა: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. მაგრამ მასის არ უთქვამს ყველამ თავი თბილისში მოიყარეთო». ნ. ცერცვაძის ამ ნათქვამმა, მაშინ დიდი გახმაურება ჰპოვა მთელს საქართველოში ამის თქმას ახლა ვერავინ გაბედავს. ამისათვის ეროვნული თავმოყვარეობა და გამბედაობა არის საჭირო. თანამედროვე კომუნისტებს ასეთ გმირობას ჩვენ ვერ მოვთხოვთ.

გ. ქვანია ამაოდ შვრება «დაამტკიცოს» უსაბუთოდ. ვითომც ერთა შორის შური-მტრობა ბურჟუაზიულ-ნაციონალურ პარტიების ბრალი იყვეს. არც ქართველი უკლონისტები და არც ნ. ცერცვაძე, არ იყვენ არც ეროვნულ-დემოკრა-

ტები და არც მენშევიკები, ისინი ისეთივე კომუნისტი-ინტერ ნაციონალისტები იყვენ, როგორც თვითონ არის, რუსეთის ერთგულებაში არც ისინი ჩამორჩებოდენ მას, ხოლო როცა დიდი ერი, თუნდაც კომუნისტური ყლაპავს სულიერად და ხორციელად პატარა ერს, მასში იღვიძებს ბუნებრივი ეროვნული ცნობიერება და იწყებს ბრძოლას ეროვნული თვითარსებობისათვის. ქართველი ერის ეს გაღვიძებული ეროვნული ცნობიერება ნაციონალურ ბოლშევიკურ რუსეთს მოსვენებას არ აძლევს. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ქართველი კომუნისტები მათ სამსახურში იმყოფებიან და შეუგნებლად მათი მსხვერპლი ხდებიან.

დასასრულ, თქვენ ხომ მარქსისტები ბრძანდებით, მისი «მეცნიერული» მეთოდით შეიარაღებული და ერთა სოლიდარობის, თუ ანტაგონიზმის მიზეზები უნდა ეძიოთ, არა სხვაგან, თქვენს გარეშე, არამედ თვით რეჟიმის სოციალურ ეკონომიურ სტრუქტურაში და თუ გნებავთ კიდევ მისს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციაში. სხვაგვარად თქვენი ვითომდაც ინტერნაციონალური ერთა სოლიდარობის ლენინური პრინციპები, მპყრობელ რუსულ ნაციონალიზმის სამსახურში, უფრო ამ იდეიის პროფანაცია არის, ვიდრე მისი რეალურად გამოყენება.

ერის ეროვნული თავისუფლება, კორდინაციაა და არა სუბორდინაცია. ერთა თანასწორობა და არა დიდი რუსეთის ბატონობა წარმოშობს ერთა სოლიდარობას. და თუ თქვენ ერთა თანასწორობის გულწრფელი მომხრე ხართ, თქვენი ფარხმალიც სწორეთ იმისაკენ უნდა იყვეს მიმართული, ვინც ჩვენ ერს ეროვნულად ჩაგრავს და მის ქონებას ანიავებს, და არა ჩვენს მიმართ.

ს. ჭირაქაძე.

ბოლშევიზმის ფსიქოანალიზი.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ აღმოჩენებს, ქვე-ცნობიერებასთან დაკავშირებით, აუწოხავი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეთიკისათვის, ესთეტიკისათვის, რელიგიის ფილოსოფიისათვის და საზოგადოთ კულტურის ფილოსოფიისათვის. კაცობრიობის სულიერ სალარომ ერთხელ კიდევ შეიძინა ახალი მეთოლოგიური ხერხი ვებერთელა მნიშვნელობის. ხერხი მეტად მჭრელი და დიდი ეფექტიური ღირებულების. მეტად სამწუხაროა, რომ ის არ იქმნა გამოყენებული იმ ბრძოლისათვის, რომელსაც თავისუფალი მსოფლიო აწარმოებს კომუნისტურ მონობის წინააღმდეგ. კომუნისტებს სძაგთ ფსიქოანალიზი, გრძნობენ მასში მათთვის სასიკვდილო იდეოლოგიურს საშიშროებას და მიდიან მეტად კომიკურ და მე-

ტად არასერიოზულ სიყალბემდე—უარყოფა საზოგადოთ ქვეცნობიერების არსებობისა. საბჭოთა ენციკლოპედიაში, საბრალოა ზიგმუნდ ფრეიდი ფსიქოანალიზის ფაქტიური ფუძემდებელი, ისე უნამუსოდ შეურაცყოფილია და შეგინებული, რომ შეურაცმყოფელიც გრძნობს ალბად რომ სტყუის და აშკარადაც სტყუის ისე სამარცხვინოთ, როგორც ქვეყანაზე არავის არ უმტყუვნია, არ უცრუვნია. ასეთი ფსიქოლოგია ღირსია ფსიქოანალიზის, არა ვინმეს დასაცავად, არამედ ბოლშევიზმის მორალური სიფათის დასახატავად.

ქვეცნობიერი ჩვენი დროის ცნებაა. «ძველებური» გაგება ადამიანის სულიერი ცხოვრების განისაზღვრებოდა ცნობიერებით, რაც დევს ასე ვსთქვათ, განცდის ნათელ არეზე. მაგრამ გარდა ცნობიერებისა, ადამიანის ფსიქიკაში სცოცხლობს და მოქმედებს შეუცნობელი ანუ როგორც ზევით ვახსენეთ ქვეცნობიერი. საკმარისია დაკვირვება და ანალიზი ისეთი ფსიქოლოგიური აქტებისა, როგორც ყურადღების და ასოციაციის შემთხვევებისა, რომლებზედაც აშენებულია მთელი რიგი სხვა რთულ ფსიქიურ პროცესებისა, როგორც მაგალითად, განსახეობის, დამახსოვრების, ათვისების ფენომენები, რომელიც არასოდეს არ უდრის აღქმათა ჯამს, მაგრამ მიწყივ თანაარსებობას მათთან, უწინ დაგროვილ აღქმათა მეტ თუ ნაკლებ ინტენსიურს რულიად შეუცნობელი მონაწილეობით, რომ დავრწმუნდეთ ქვეცნობიერების არსებობაში.

ის არ იმყოფება ცნობიერების ნათელ მოედანზე, ის თითქოს ჩაძირულია სადღაც სიღრმეში და დროგამოშვებით გვამცნობს თავის თავს. ეს არის ძველის-ძველი ქაოსი. რომელიც ბობოქრობს და ყალყზე დგება მარად ყამს ცნობიერების წინ-კართან, მაგრამ თავის საშოში ატარებს და იტევს შესაძლებლობათა და მისწრაფებათა დაუსრულებელ სფეროს, მდიდარს და მრავალსახიანს თავისი შინაარსით. ასეთ ქაოსთან მისვლა, მასში შეჭრა, მისი დაუფლება ძალიან ძნელია. ქვეცნობიერი არ ემორჩილება ბრძანების იმპერატიულ ხორმებს, ამ უკანასკნელისათვის ის დაკეტილია. მთავარია იმის გაგება, თუ რა სწარმოებს მასში და ამისდამიხედვით ვიმოქმედოთ მასზე. პირდაპირი გზა დახშულია შესაძლებელია მხოლოდ შემორებით, ფსიქოანალით. აქ არის სწორედ ფრეიდის დამსახურება და მის მიერ, ქვეცნობიერის ეროტიული ბუნების აღმოჩენა ე.წ. libido-ს ცნება, რომლის გაფართოების საჭიროება დაინახეს მისმა მოწაფეებმა (ადლერი, იუნგი და სხვა). ჩვენი საკითხის გარკვევისათვის ჩვენ უფრო გვაინტერესებს ადლერი, რომლის გაგებით: ადამიანის სულიერ ცხოვრების მოძრავი ხრახნილი ძალაუფლების და ბატონობის წყურვილია. ეს არის ეგრე წოდებული არაპირობადადებული (უპირობო) რეფლექსი, ფუნდამენტალური ყველა ცოცხალ არსებისათვის. რეფლექსი ანუ ინსტიქტი ძალაუფლების, მისაკუთრების და და-

მორჩილება-მფლობელობის. ბავში ყოველ საგანს ეპოტინება და პირისაკენ იცაცებს. ცხოველი ცდილობს გაქცეულ თავის მსხვერპლს დაეწიოს და დაგლიჯოს. ადამიანიც მიილტვის დაეუფლოს, დაიმკვიდროს, დაიმონაოს ყველაფერი რაც შეუძლია და განსაკუთრებით კი მოყვასი მისი. ეს ინსტიქტი ელემენტარული და სტიქიურია, როგორც თვით ცხოვრება. მაგრამ კულტურას შეუძლია მისი აღზრდა, გაკეთილშობილება, სტიქიურ ძალთა კულტურულ ღირებულებებათ გარდაქმნა, მისი «ამაღლება» ე. წ. სუბლიმაცია. ადამიანის მისწრაფებანი და ვნებანი თავის თავად ცუდნი არასოდეს არ არიან. სიავე და სიცუდე არა საგნებშია არამედ საგანთა მრუდ და მახინჯათ გამოყენებაში. ჭამა როდია ცუდი—არამედ ღორმუცელობა, არა ფულია ცუდი—არამედ სიძუნწე, არა სახელი—არამედ პატივმოყვარეობა.

ადამიანის სულიერი ცხოვრება ექვემდებარება ერთს ძირითადს კანონს, რომლის წყალობით არც ერთი სულიერი ღირებულება არ იკარგება ისე თუ ის არ იქმნა ასე თუ ისე შეცვლილი, მაგრამ რადგანაც ეს არსებითად შეუძლებელია, ადამიანის სულში სცოცხლობს უშრეტი მისწრაფება კომპენსაციისადმი. ეს კომპენსაცია მეტად თუ ნაკლებად ილიუზიურია რადგან ის იკვებება «ერზაცებით» და ამდენადვე ნეგატიური ღირებულებისაა. განსაკუთრებით სპეციფიური უარყოფითი ღირებულებისაა ის სულიერი ტკივილები (ტრავმები), რომლებიც მომდინარეობენ არა ობიექტიურ, ჭეშმარიტ ღირებულებათა სამყაროდან, არამედ იმ «ნაკიანობის» შეგრძნება აღქმიდან, რომელსაც ცნობილმა ადლერმა «დაბალ-ღირსების» ანუ «არარაობის» კომპლექსი უწოდა. შეურაცყოფილი თავმოყვარეობა, დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა. შებღალული სიამაყე და სხვა მეტად მძაფრად განიცდება და ამდენადვე ძნელად განიკურნება. იქმნება ნოყიერი ნიადაგი ილიუზიური კომპენსაციებისათვის. მაგრამ უმეტესს შემთხვევაში ილიუზიურობა კომპენსაციებისა სრულიად არ ნიშნავს სიგიჟეს კლინიკურ გაგებით. მაგალითად, გამდიდრების სურვილი თუ სიმდიდრე თავისთავად, როგორც თვით მიზანი ერთ-ერთი ფორმაა საკუთარი «მე» ს ილიუზიური დადგენილებისა. ამ შემთხვევაში ადამიანი აერთიანებს მისი პიროვნების მნიშვნელობას მის შეძენილ ქონებასთან. აქ როგორც ვხედავთ ადგილი აქვს «ღირსებათა» აღრევას. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო ძალაუფლებისადმი მისწრაფებაში, როდესაც ის მკვიდრდება, როგორც თვით-მიზანი და არა საშუალება. აქაც აღრევა და დაბნევა. აქაც ძალაუფლების ილიუზიასთან და მოჩვენებასთან გვაქვს საქმე. გაურკვეველი, შეუცნობელი შეგნება ამ ილიუზიურობისა მოითხოვს ახალ-ახალ «სანახაობებს» ძალაუფლების რეალიზმის განმტკიცებისათვის. ამიტომ არის ასე გაუმაძღარი და აღუვსებელი ძალა-

უფლების მოყვარული დემონი, საწყისი და სათავანი ყოველ-გვარი სიავისა და ბოროტებისა, რომელიც მუდამ ძალაუფლების სამოსელში ეხვევა, მაშინ, როდესაც სიკეთე მის საჭიროებას სრულიად მოკლებულია. ყოველი აბსოლიუტიზაცია რელატიური (შედარებით) ღირებულებისა (ძალაუფლება) შურს იძიებს თავისი შინაგანი დაუკმაყოფილებლობისა გამო—ეს კი ბადებს ბოროტ საშუალებათა განუწყვეტელ ზრდას. ამას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც პოზიტიურ, მაგრამ მაინც შედარებითს ღირებულებას აბსოლუტურ სახეულობას ვანიჭებთ, რადგანაც პრაქტიკულად ის უარყოფითს ღირებულებაში გადადის.

ასეთია დაახლოებით ბოლშევიკური რევოლიუციის დიალექტიკა, რომელიც კეთილ-სინდისიერი ცდომილებით დაიწყო და შემდეგ ბოროტ ნებაში გადაეშვა, რომლის სოციალური განაარსება თანამედროვე საბჭოთა კომუნიზმია. რომ ყოველ რევოლიუციაში შურისძიება სიძულვილი დიდ როლს თამაშობენ, ეს ძველთა-ძველი ამბავია, მაგრამ ბოლშევიკურ რევოლიუციაში ეს ელემენტები მეტად დემონიაკალური ხასიათისაა. აქ სიძულვილის მიზანია მოპირდაპირის მოსპობა-განადგურება, მაგრამ რაც მთავარია მისი წვალება და წვალება ხანგრძლივათ, რათა გული მოიჯეროს და დასტკბეს თავის ობიექტის წვალებით. ეს კი პირწავარდნილი სადიზმია, ერთ-ერთ სპეციფიური, ნიშნობლივი თვისება ბოლშევიზმისა.

ბოლშევიკი სრულიად არ არის ის ადამიანი, რომელსაც თავისი თავი უყვარს, მისი ქვეცნობიერება იმდენად დატვირთულია და დაყურსული ზიზღითა და შურით, თითქოს ეს გრძნობა ამოვარდნილი იყოს მისი არსებიდან, და სწორედ ეს (თავისი თავის არა სიყვარული) არ უპატიებია სხვებისათვის, ეს მისი ნაკლი ასე რომ არ მოსწონს თავის ვინაობა, ეს არის ის გრძნობა, რომელსაც უწოდებენ «არარაობის კომპლექსს» —დაკავშირებულს მკაცრ და სასტიკ კომპენსაციებთან. ასეთი სულიერი სტრუქტურის მქონე ადამიანი კომფლიქტშია არა მარტო სხვასთან, არამედ თავის თავთანაც. ის ყველას უნდობლობის თვალით უყურებს, ყველგან მტრები ელანდება რეალური თუ მოჩვენებითი—ის ამით საზრდოობს და ამით იკვებება. ერთი მეტად საკვირველი მხარე ბოლშევიკური რევოლიუციის მის უმადურობაშია. მან მოსპო და საბოლოოდ მოსთხარა ამ ქვეყნიდან მისი სულის ჩამდგმელნი, მისი შემქმნელნი—ეს კი არის ყველაზე საზიზღარი, სულმდაბალი და ჩირქიანი ნიშანი ამ რევოლიუციის. ეს არის ამ რევოლიუციის პარადოქსი და თუ გნებავთ დიალექტიკაც. რევოლიუციის საბოლოოდ გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვს, ამისათვის ყოველი საშუალება მისაღებია. იდეა, «მიზანი ამართლებს საშუალებას», დისკალიფიკაციაა თვით მიზანის. უდიდესი საიდუმლოება სწორედ იმაში მარხია, რომ საშუალება მთა-

ვარია, ვიდრე მიზანი. საშუალებათა და გზათა ბუნება გვამცნობს, თუ რა ხალხთან გვაქვს საქმე. ძალმომრეობა არასოდეს გადადის თავისუფლებაში, სიძულვილი—ძმობაში, ბოროტება—სიკეთეში. ადამიანი, რომლის სახელმძღვანელო პრინციპია «მიზანი ამართლებს საშუალებას, მონაა მის მიერ არჩეულ დაბალ, არაზნეობრივ საშუალების. აქ ბოროტება პრაქტიკულად გადადის თვით-მიზანში. ეს პროცესი მიმდინარეობს შეუცნობლად, რადგან ადამიანი «უკანასკნელ წუთამდე» დარწმუნებულია, რომ ემსახურება სიკეთეს, მაშინ როდესაც სინამდვილეში ბოროტი სული დაეპატრონა მთელს მის არსებას—და ჯოჯოხეთური შეუბრალებლობით და გაიძვეროობით აშენებს ბაბილონის იმ გოდოლს, რომელსაც კომუნისტური სამოთხე ეწოდება. გაიძვეროობით ვამბობთ, იმიტომ, რომ ის არასოდეს არ აჩენს თავის ნამდვილ სახეს. ბოროტი სულისათვის ხელსაყრელია დააჯეროს კაცობრიობა, რომ ის არ არსებობს, რადგან, მაშინ მას თავისუფალი გასაქანი ეძლევა უფრო ადვილათ აკეთოს თავისი ბნელი საქმეები. ის სიკეთის წვენით საზრდოობს რადგან არ გააჩნია საკუთარი არსობრივობა.

დემოკრატია თავისი ჰუმანიური პრინციპებით თვითგამორკვევისა და თვითმართველობისა მეტად ახლოა ადამიანის სულთან და გულთან და ამდენადვე ის პოპულიარულია და «ყველასათვის» მისაღები. აი ამიტომაა, დღეს ტოტალიტარული დიქტატურა სახალხო დემოკრატიის ფსევდონიმს ატარებს. «ფარისეველობა ხარკია, რომელსაც ბოროტება აძლევს სიკეთეს»-ო ამბობს შექსპირი. აქ დემოკრატიისადმი პატივისცემის ხარკი ნათლად მეტყველებს. მხოლოდ ჩვენ ერთი ვერ გაგვიგია, რატომ დასავლეთის დემოკრატიამ ასე ადვილათ შეითვისა ეს უაზრო და ძალზე უნიჭო ტერმინი, როგორიცაა «სახალხო დემოკრატია».

დაბოლოს ერთათ ერთ საინტერესო ფენომენს უნდა უყოთ ანალიზი. კომუნისტებმა პირველად ისტორიაში (მსოფლიო მაშტაბით) სცადეს კომუნისტური იდეის განხორციელება. მაგრამ საკითხავია, როგორი სულიერი და მორალური საგზალით მოვიდენ ამ ქვეყნად და როგორი სახის გამრმეტყველებით? სულიერი და მორალური სიმახინჯით, სილამაზის მადლს მოკლებული. ამიტომ აქვთ კომუნისტებს, როგორც ზევით აღინიშნა ressentiment. მათ აღელვებს, რომ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ, სახის უხეში გამომეტყველებით, მახინჯი ჟესტებით, პროვინციალობით» და მახინჯი არაკეთილშობილ სულიერ წყობით. ეს უბრალო ამბავი როდია. სიმახინჯე არის ყოველთვის ნიშანი ყოფის ონტოლოგიური ღაზიანების, მაშინ როდესაც ნათელფენილი და მადლმოსილი ყოფა სილამაზეა. ამიტომ ამბობს პლატონი ეროსი «სილამაზეში დაბადება»-ო. ეროსი ლტოლვაა «ამაღლებუ-

ლი»-ს სრულქმნილობის სუბლიმაციის. ბოლშევიზმი კი გამრუდებული ეროსია, ეროსი სიძულვილის, შურის, გაუტანლობის, ღვარძლის და თავაშვებული ბოროტების—ეროსი დეგრადაციის და ნგრევის, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს საკაცობრიო იდეალის ღირსებასთან.

ასეთია ბოლშევიზმის სულიერი და მორალური პორტრეტი; ეს თანამედროვე მრავლის განამრავლი ბოროტება.

ნ. კალანდაძე.

ქართული ეკლესია.

ჩვენს ეკლესიას დიდი როლი და დამსახურება მიუძღვის ქართველი ერის არსებობის დღემდე შენარჩუნებაში. დაპყრობილ საქართველოში ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა ხიფათში აგდებს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ამ სულიერ დასაყრდენის საერთო არსებობას. 2.455 ეკლესიიდან, რუსეთის საბჭოთა რეჟიმს გადარჩენია (თანახმად 1951 წლის ქათალიკოს კალისტრატეს მიერ «New-lork Times»-ის წარმომადგენელ ბ-ნ ჰარისონ ე. სალისბერი-სადმი განცხადებისა) მხოლოდ 100 სამრევლო და ალბად ამოდენივე ეკლესია და მღვდელი.

ქართულმა ემიგრაციამ ამ დარგშიდაც უნდა შეასრულოს თავისი როლი. შემოკრბეს უცხოეთში ერთად-ერთი არსებული (1929 წლიდან) პარიზის ქართული ეკლესიის ირგვლივ, გაუწიოს მას მორალური და მატერიალური დახმარება, რათა მისთვის შესაფერ სიმაღლეზე დააყენოს, როგორც ნიმუში ძველი ივერიის ეკლესიისა. არა კმარა წარჩინებულ მოძღვარ მამა ილიას დაუღალავი ღვაწლი, მას სჭირდება მრევლისაგან მხარში ამოდგომა, და იმედის მიცემა. ხშირად საცოდავის შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი ეკლესია, განსაკუთრებით შესაფერი მგალობელთა გუნდის არყოლით. საეკლესიო კომიტეტმა ამ საქმეს უნდა დასძლიოს, საჭირო პირთა დახმარებით. საჭიროდ მიგვაჩნია წირვა-ლოცვის აღსრულებისას დაცულ იქმნას ქართული ეკლესიის წეს-რიგი-რიტმი. უცხოეთში და უცხო აკადემიაში აღზრდილ მოძღვარისათვის არ არის ეს ადვილი საქმე. საზღვარ გარეთ გვყავს ქართული ეკლესიის რამოდენიმე ძველი და მცოდნე მოძღვარნი: ჩრდილო-ამერიკაში დეკანოზი კაპანაძე, სამხრეთ-ამერიკაში მამა ნიკოლოზი (ზამბახიძე), ესპანეთში დეკანოზი მამა რაფიელ ინგილო. მათთან დაკავშირება ვფიქრობთ გაუადვილებს მამა ილიას მის მძიმე მოვალეობის აღსრულებას.

ქართული ეკლესია მუდამ წმინდა ეროვნული იყო და ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. ეროვნულ თვითარსებობის ნიადაგზე მდგომი და მისი გამმაგრძელებელი. მეტი

განცალკევება გვჭირდება რუსულ ეკლესიისაგან, დასაფლავება თუ ჯვარისწერა ქართულ ეკლესიაში უნდა ხდებოდეს და არა რუსულ ეკლესიაში. ამით ჩვენ ვაზიანებთ ჩვენს ეროვნულს მეობას და გაუგებრობაში ვაგდებთ ევროპიელებს ჩვენი ვინაობის შესახებ.

* * *

ამაო მოწოდება.

ამ უკანასკნელ ხანებში, ქართულ ემიგრაციაში ბლომათ დარიგდა ინდივიდუალური ხასიათის მოწოდებები, რომლის უბადრუკი ავტორები, ყოფილი ემიგრანტები, დღეს საქართველოს მტრებთან შერიგებულნი, მოუხმობენ ქართველ ემიგრანტებს ბოლო მოუღონ უცხო ქვეყნებში მათ გაჭირვებულსა და დამამცირებელის შრომით ყოფა-ცხოვრებას და დაუბრუნდნენ მათ სამშობლოს. ჰპირდებიან, რომ უკანასკნელი მათ აპატიებსთ დანაშაულს და გულში ჩაიკრავს დედაშვილურის სითბოთი. ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულმა საბჭოთა რადიო-სადგურმაც გაახშირა ასეთი ხასიათის მოწოდებების გადმოცემა.

— სჩანს ქართული ეროვნული ემიგრაციის არსებობა არც ისე უმნიშვნელო ყოფილა. მისი მორალური ძალა, 35 წლის განმავლობაში ქართული ეროვნულ-პოლიტიკური სულიერი სიმაგრისა და სიმტკიცის მიუდგომელ ციხეს რომ წარმოადგენს, ცხადია მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას.

მსოფლიო ომის დამთავრების პირველი დღეებიდანვე მოევლინა ქართულ ემიგრაციას საბჭოთა ემისრები, მისი დაშლისა და დასუსტების მიზნით. ამაოდ ჩაიარა ამისათვის გაწეულმა ხარჯმა და ღვაწლმა. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაცია თითქმის უკლებლად, ისტორიის მიერ მისთვის მიჩნეულ შეურიგებელ პოზიციებზე დარჩა და განაგრძობს უცხოეთში ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ის არა ჰგავს რუსის ემიგრაციას, სამოქალაქო ბრძოლებში დამარცხებულ დენიკინ-კოლჩაკის ჯარების უკან დახევით რომ წამრმოიშვა. ის დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობამ წარმოშვა, ომში დამარცხებული დამოუკიდებლობის დროშით გამოვიდა უცხოეთში. 35 წლის განმავლობაში ეროვნულ აჯანყებებში დამარცხებული მებრძოლი ქართველობა ემატებოდა უცხოეთში გამოხიზნულ ქართულ ემიგრაციას. უკანასკნელი დიდი ომის დროს მას მიემატა, საბჭოთა საქართველოდან საომარ ასპარეზზედ გაწვეული ახალი თაობა, ომელთაც ზურგი უქციეს მათი ქვეყნის მტრებს და იარაღით ხელში, ქართველ ემიგრანტებთან

ერთად, ჩვენი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ერთი ეპოქა ჩასწერეს ჩვენი ისტორიის სისხლიან მატიანეში.

ჩვენ არ წამოვსულვართ კარგი ცხოვრებისათვის, კარგი სმა-ჭამისათვის, ჩვენი პირადი ბედნიერებისათვის. ყველა ამაზედ ჩვენ უარი ვთქვით დაპყრობილ საქართველოშივე და ერისა და ქვეყნისათვის თავისუფლების აღსადგენად ტანჯვა-წამებისა და სიმწარის გზა ვარჩიეთ. მონობასა და შერიგებას —თავისუფლება და ბრძოლა. სამშობლოსათვის სამშობლოც დავსთმეთ. ძნელია უცხოობაში ყოფნა. გაჭირვებაც ბევრი ვნახეთ და სიმწარეც, ოღონდ არასოდეს დამცირება არ განგვიცდია და ჩვენ მასპინძელთა წყალობით, ჩვენი საკუთარის შრომით ადამიანის ღირსების შეულახავად ვცხოვრობთ და განვაგრძობთ ჩვენი ეროვნული მოვალეობის აღსრულებას. ეს ბრძოლის გზა მიგვიყვანს ჩვენ ერთ დღეს «აღთქმულ თავისუფალ ქვეყანამდე».

არა გვგონია სამშობლოსაგან საპატიებელი ჩვენ რამე გვქონდეს, თუ სამშობლოთ საქართველოს გულისხმობენ, მოწოდებაზედ ხელთ მომწერნი და არა საბჭოთა რუსეთის იმპერიას.

დაპყრობილ და მონათა ქვეყანად ქცეულ საქართველოში დაბრუნებასაა, რომ არ გვაპატიებს ჩვენი სამშობლო. იქ დაბრუნებასა და ნაძრახ ცხოვრებას აქ პატიოსანი და სახელოვანი სიკვდილი გვირჩევნია.

ვივი.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის

საინფორმაციო ბიუროსაგან:

მემორანდუმი ამერიკული კომიტეტისადმი.

ქართ. ერ.-პოლიტიკური ცენტრის საგარეო საქმეთა კომისიამ რამოდენიმე თვის წინ ვრცელი მემორანდუმით მიმართა ამერიკული კომიტეტის ახალ თავმჯდომარეს ადმირალ სტივენსს.

მემორანდუმში მიუთითა ამერიკული კომიტეტის მიერ თავიდან აღებული პოლიტიკური ხაზის მიუღებლობაზე, რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისათვის. აღნიშნა საბჭოთა რუსეთის ფარგლებში მომწყვდეული ერების განთავისუფლების საკითხში ამ კომიტეტისა და ამერიკის მთავრობისა და ოფიციალური წრეების ხაზთა სხვადასხვაობა. ხაზგასმით მიუთითა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იმავე უფლებრივ კატეგორიას ეკუთვნის, რომელშიდაც სატელიტების დამოუკიდებლობის საკითხს ათავსებენ და რომ შეუფერებელია და მიუღებელი საქართველოს დამოუკიდებ-

ლობის აღდგენა, რუსეთის შინაური პოლიტიკის საკითხად იქმნას დასმული მომავლისათვის. დასასრულ იმედი გამოსთქვა, რომ ამერიკული კომიტეტი ხანგრძლივი გამოცდილებით, მივა მისი პოლიტიკური ხაზის შეცვლამდე, პიროვნებისა და ეროვნების თავისუფლების დროშას აღმართავს და შესძლებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საიმედო, საღი მებრძოლი ძალების თავის მოყრასა და დარაზმვას ეროვნულ ემიგრაციათა შორის.

მემორანდუმი ევროპის «ტყვედქმნილ» ერების კრებულს.

ქარ. ერ. პოლიტიკური ცენტრის სახელით საგარეო საქმეთა კომისიამ მემორანდუმით მიმართა ევროპის «ტყვედქმნილ» ერების (სატელიტების) კრებულს, რომლის სხდომები ჩატარდა სტრასბურგში გასული წლის ივნისის ბოლო რიცხვებში. განუმარტა მათი დაპყრობის ოცი წლის წინ, იმავე მტრის მიერ დაპყრობილი საქართველოს მდგომარეობა. მოაგონათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ცნობილი იყო თავის დროზე მთელი მსოფლიოს დიდი და პატარა სახელმწიფოების მიერ ფაქტიურად და იურიდიულად. აღნიშნა, რომ მათი სახელმწიფოებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებრივი მდგომარეობა ერთსა და იმავე საერთაშორისო სამართლის არეზე სდგას თანასწორად და სთხოვა, რომ მათ წრეში მიღებულ იქმნას ქართველი ერის წარმომადგენელნიც მათთან თანასწორის უფლებით.

მიმართვა ქართული ეროვნული საბჭოსადმი.

ქართულ-ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებისათვის დაარსებულ კომისიაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის, მოპირდაპირეთაგან მოცემული წინადადებისა და კომისიის თავმჯდომარის თანხმობით ეროვნულმა ცენტრმა ვრცელი მოწოდებით მიმართა ეროვნულ საბჭოს ყრილობას წ. წ. 28 მაისის სხდომაზე. მიმართვაში მოხლობრივადაა გამოთქმული ის მთავარი დებულებები, რომელთ პასუხის გაცემაზედ იყო დამოკიდებული ეროვნული ერთობის ბედი. ყრილობამ მის აღმასრულებელ კომიტეტს გადასცა იგი განსახილველად.

ამ ბოლო ხანებში შესდგა ზემოხსენებული კომიტეტისა და ეროვნული ცენტრის მიერ გამაერთიანებელი კომისია, რომელიც მუშაობს ამ ორ დაწესებულებაში შემავალ და საერთოდ ყველა ქართული პოლიტიკური ძალების გაერთიანებისათვის. კომისიის საერთო მუშაობის მსვლელობა იმედს იძლევა, რომ აღნიშნული კომისია, დადებითად დაასრულებს მის საქმიანობას და მიაღწევს ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა ერთი მთლიანი პასუხისმგებელი პოლიტიკური ორგანოს შექმნას.

ორი საჯარო მოხსენება.

წ. წლის განმავლობაში ეროვნულმა ცენტრმა მოაწყო ორი საჯარო მოხსენება. რუსული ემიგრაციის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის ბ. გრ. ალექსინსკის (საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები) და მისი წევრის ბ. ლ. ზურაბიშვილის მოხსენება «ერების თავისუფლების პრობლემა საბჭოთა რუსეთში» ორთავე მოხსენებას მრავალი უცხოელი დაესწრო, შინაარსიანადა და ნაყოფიერად ჩატარდა. უკანასკნელი მოხსენების თავმჯდომარის ხტრასბურგის უნივერსიტეტის უფლების კათედრის პროფესორ მ. მუსხელიშვილის შესავალმა და საბოლაო სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თვით მოხსენებით ფრიად დაკმაყოფილებულ საზოგადოებაზე.

შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტ პეტიტპიერს.

წ. წლის ივლისის ბოლო რიცხვებში შვეიცარიის ეროვნული დღესასწაულისა გამო, ქართ. ერ. პოლიტიკური ცენტრის საგარეო საქმეთა კომისიამ შემდეგი შინაარსის მისალოცი ბარათი გაუგზავნა კონფედერაციის პოეზიდენტს:

«ვასრულებთ რა ქართ. ემიგრაციის მოვალეობას, დაპყრობილი ჩვენი ერის ნაცვლად მსოფლიოში ყველგან ისმოდეს მისი ხმა, გილოცავთ კეთილშობილი შვეიცარიის ეროვნულ დღეს, მევენახეობის სიმბოლოს სახით რომ დღესასწაულობთ ყოველ მეოთხედი საუკუნის დასაწყისში.

ქართველ ერსაც აქვს უაღრესი კულტი მევენახეობისა და მეღვინეობის, რომელიც ხელს უწყობდა მისი ცხოვრების სიტკბოებას, ქართული სულის კეთილშობილებასა, ძმათა შორის სოლიდარობასა და სიყვარულს. ალბათ ამით აიხსნება, ის მოვლენა რომ ქართველობამ, კაპადოკიიდან მოსულ, მის ქრისტიანულ სჯულზედ მომქცევ წმიდა ნინოს, სამარადისოდ ხელთ მისცა მისივე თმებით შეკრული ვაზის ჯვარი.

ჩვენ ვკადნიერდებით გადმოხვეწილ თანამემამულეთა და ტყვედქმნილი ქართველი ერის სახელით მიულოცოთ თქვენის სახით ეს დიდი ეროვნული დღესასწაული კეთილშობილსა და გულუხვ შვეიცარიას, ჭეშმარიტ ძმობა-ერთობისა და თავისუფლების დიად სამშობლოს, რომლის ამაყ შვილებს არა ერთხელ აუმაღლებიათ ხმა დაპყრობილ საქართველოს დასაცავად».

ტელეგრამა პრეზიდენტ აიზენჰოვერს.

ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე ედენისა და ამერიკის პრეზიდენტი აიზენჰოვერის შეხვედრისა გამო, რომლის საგანი იყო შუა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის აღდგენა, ქართულ ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის საგა-

რეო საქმეთა კომისიამ შემდეგი ტელეგრამით მიმართა ამერიკის პრეზიდენტს აიზენჰოვერს.

«ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მოგაგონოთ რომ არავითარი მშვიდობიანობა ვერ დამყარდება ვერც შუა და ვერც ახლო აღმოსავლეთში სანამ საქართველო და კავკასიის სხვა ერები რუსეთის მონობაში იქნებიან.

რუსეთის მიერ დაპყრობილი და კოლონიებად გადაქცეული ერების თავისუფლების საკითხი, არ არის მხოლოთ საერთაშორისო სამართლიანობის საკითხი, არამედ იმავე დროს თავისუფალი მსოფლიოს არსებობისათვის აუცილებელი პირობაა.

მოგიძღვნით სრულ ნდობასა და სალამს უღრმესი პატივისცემით».

ტელეგრამის ასლები გადაეგზავნათ. ამერიკისა და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროებსა და ამერიკის სენატის რამოდენიმე წევრს.

მეთვალყურეს შენიშვნები.

სტილის საკითხი.

ცნობილ დებულებას «ეროვნული ფორმა—სოციალისტური შინაარსით», რომელიც გადმოისროლა სტალინმა, საბჭოთა ერების ახალი კულტურის შესაქმნელად, ქართველი ხუროთმოძღვრები, უკანასკნელ დრომდე მოხერხებულად იყენებდნენ ავად თუ კარგად და სცდილობდნენ არხიტექტორულ-მხატვრულ სახეებში დაეცვათ ძველი ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობით გადმოცემული ქართული სტილი. ახალი დიქტატორის ხრუშჩევის ხანამ სრულიად შესცვალა ეს ვითარება: წარსული პლასტიკური ფორმების გამოყენება, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების შელახვას იწვევს თურმე. მშენებელთა საკავშირო თათბირზე ხრუშჩევმა განაცხადა: «ჩვენ არ შეგვიძლია გაგვიტაცოს არხიტექტურულ მა დეკორაციებმა, ესტეტიურმა შემკობა გალამაზებამ. ამ ზედმეტობის წინააღმდეგი ვარ»-ო. ცენტრის მოცემულ დებულებას გამოეხმაურენ პერიფერიები. საქართველოს ტექნიკურ ინსტიტუტის პროფესორი არხიტექტურის დოქტორი აგაბანიანი აცხადებს ქართველ ხუროთმოძღვართა საყურადღებოთ: «არხიტექტურაში ეროვნული ფორმა არ არის მუდმივი, იგი ვითარდება ცხოვრების კონკრეტულ მოთხოვნილებათა შეფაოდებით»-ო. მოუწოდებს მომავალში მშენებლებმა სინიშნეშოთ იქონიონ და შთაგონება მიიღონ მოსკოვში, ლენინის მავზოლეს სტილით, რომელიც თურმე, იდიალურად გამართლებული, საბჭოთა არხიტექტორული ნაგებობის საუკეთესო ტიპია.

ამგვარად, «ეროვნული რესპუბლიკები» მოსკოვს უნდა დაემორჩილონ სტილის საკითხშიდაც.

იღუპება ქართული კულტურის ძეგლები.

«საქართველო უძველესი კედლის ანუ საფრესკო მხატვრობის ქვეყანაა. ქართული საფრესკო მხატვრობა მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მაგრამ ამ 10—15 წლის განმავლობაში მოუვლელობის შედეგათ, არა ერთი მხატვრობა სრულიად მოისპო ისე, რომ ასლებიც კი არ დაგვრჩა მათგან გადაღებული. ასე დაიღუპა მთლიანად მუხროვანის მე-13 საუკუნის მხატვრობა, რომელიც თავისი ტეხნიკით, ფერწერით წინ უსწრებდა დიდებულ უბისის მხატვრობას. დაიღუპა ნაბახტევის უნიკალური ბრმწყინვალე მხატვრობა. ასევე განადგურდა ფავნისის (მე 13 საუკუნე), ტაბაკინის (მე-14 საუკუნე), ერკეთის და სხვა საფრესკო მხატვრობა. დღეს დიდ საფრთხეშია ისეთი მსოფლიო შედევრები, როგორიც არის უბისის, ყინწვისის, ატენის, დავით გარეჯის, ბედიის და სხვა ფრესკები, რომელთა უმეტესობა წყლისაგან ირეცხება».

ეს საშინელი სიტყვები წარმოსთქვა მწერალმა გ. ლეონიძემ საქართველოს ს.ს.რ. უმაღლეს საბჭოს ამაწლის ყრილობაზე, რომლის დეპუტატათ ის იმყოფება. რომელ ქართველში არ გამოიწვევს გულისტკივილს ეს ამბავი. ჩვენი ეროვნული კულტურის განძნი, რომელნიც ქართველმა ერმა მრავალ საუკუნოების განმავლობაში შექმნა და დღევანდელ თაობას შენახულ-მოვლილი გადმოსცა, დღეს უგნური ხელისუფლების წყალობით იღუპება.

შესაძლებელია ეს უყურადღებობა ძველი კულტურის ძეგლების მიმართ, გამართლდეს უსახსრობის გამო. მაგრამ როგორ უნდა აიხსნას თბილისის მუზეუმის არქივების განადგურება. თბილისის ქართული მუზეუმი, შექმნილი ქართველი ერის მიერ ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე, მდიდარი იყო ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ხელთნაწერებით: იოანე ბატონიშვილის, ანტონ კათალიკოსის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის და სხვა მრავალ ცნობილ ქართველთა. მთელი ეს არქივები, ისტორიული დოკუმენტები, დღეს შეუბრალებლად ნადგურდება თურმე. გვაცნობს თბილისის ორგანო «კომუნისტი»-ს კორესპოდენტი. და ნადგურდება მოუვლელობის გამო. «იატაკზე ჰყრია, ჩრჩილი სჭამს, მტვერი ეყრება, ან წვიმა რეცხავს». აქამდე უბრალო კატალოგიც ვერ შეუდგენიათ თურმე. ნუ თუ არავინ გამოჩნდება გულშემატკივარი რომ გადაარჩინოს ჩვენი კულტურის ნაშთები.

პოეზია სიმინდზე და ღორებზე.

საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ყურადღება დღეს სიმინდზე და ღორებზეა მიპყრობილი. პოეტმა ლეონიძემ ზემოხსენებულ ყრილობაზე საყვედური გამოუცხადა ქართველ

მწერლებს, რომ ისინი ცხოვრების ზედაპირზე ცურაობენ თუ რმე და სახალხო მეურნეობას დახმარებას არ უწევენ. აი მისი სიტყვები: «ცნობილია როგორ უყვარს ქართველ ხალხს სიმინდი, ეს კეთილშობილური მცენარე. სიყვარული სიმინდისადმი ჩვენ ხალხს არა ერთხელ აღუნიშნავს თავის პოეტური სიტყვითაც. სიმინდს ქართველი ხალხი უწოდებს «ასლამაზას» ე. ი. ასჯერ ლამაზს ვინემ სხვა მცენარეა. ჩვენ მწერლებს კი სიმინდის შესახებ ხელმოსაცემი არაფერი დაგვიწერია» ო. მწერლობამ ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო პროდუქციის აწევასო, დასძენს პოეტი ლეონიძე.

დღეს კომუნისტებს დიდათ ესაჭიროებათ სანოვაგე. ამ გეგმის შესრულებაში პოეტებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა და სწეროონ ლექსები, პოემები, პიესები და რომანები სიმინდზე და ღორებზე. აი როგორ აბსურდამდე მიდის «ხელოვნების ხელმძღვანელობის» თეორია.

რეაბილიტაცია.

1938 წლის სისხლიანმა წელმა მრავალი ქართველი იმსხვერპლა. განსაკუთრებით განადგურდა ქართული ინტელექტუალური ძალები. ამის მიზეზი თურმე ბერია ყოფილა. საბჭოთა დღევანდელი მესვეურები მის მსხვერპლთ რეაბილიტაციას უკეთებენ. კვლავ იბეჭდება საბჭოთა გამომცემლობაში მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვანი.

ერთმა სიტყვა მოსწრებულმა უცხოელმა სთქვა: «რუსეთში, ძველათ იმპერატორთა ხელისუფლება განისაზღვრებოდა დახრჩობით. დღეს კი საბჭოთა კავშირში, დიქტატორთა ხელისუფლება განისაზღვრება ურთიერთ განადგურებით» ო. ასეთია რუსული ტრადიცია. ხოლო ჩვენთვის, ქართველთათვის ტრაგედია ის არის რომ, კომუნისტური მეთაურობის ერთმანეთში ანგარიშების გასწორებას, მრავალი უდანაშაულო ქართველი ეწირება.

ლ. ნ.

დ. გურამიშვილის დღე.

კვირას, იანვრის 29 ს ქათოლიკური ინსტიტუტის, ერთ-ერთ დარბაზში, «ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი»-ს თაოსნობით, გამართულ იქმნა დ. გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლის თავის აღსანიშნავად სალიტერატურო-საზეიმო საღამო. კავშირის საპატიო თავმჯდომარე ბ. რ. გაბაშვილმა მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას, განუმარტა დ. გურამიშვილის პიროვნება და მისი ეპოქა. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ. გ. ყიფიანმა წაიკითხა ბ. გ. ნოზა-

ძის მიერ შედგენილი დ. გურამიშვილის მეტად შინაარსიანი ცხოვრება და მისი ეპოქის საქართველოს პოლიტიკური ვითარება. მდიდარი მასალით აღსავსე, და მოხდენილად, გონება-გრძნობათა ზომიერად შეთანხმებითა და პატრიოტულ ის სულით დაწერილმა მოხსენებამ საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ბ. პ. სარჯველაძემ წაიკითხა მის მიერ დაწერილი «დ. გურამიშვილის ლიტერატურული შემოქმედება, ქართულ ი პატრიოტულის გრძნობითა და გონებით, მწერლ ის მოხდენილ ი კალმით დაწერილმა და ცოცხალი ენით წაკითხულმა მოხსენებამ მეტად კარგი დაფასება ჰპოვა საზოგადოებაში

სულიერად დაკმაყოფილებულ და დამშვიდებულმა საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა შემდეგი ლექსები: «შიო მღვიმის და ზედაზენის ქედებს» დიდის ტემპიტ წაკითხული რ. სტურუას ასულის მიერ; «დავით გურამ ი შვილს» (ფრანგულად) გრძნობით წაკითხული თვით ავტორის ნ. ლაბაძის ასულის მიერ; «სწავლ ა მოსწავლ ეთა» თ. პატარიძის ასულის მიერ წყნარათა და მოხდენილად წაკითხული.

ამ ახალგაზრდა ლექსთა მკითხველებს მოჰყვნენ უფროსი თაობიდან: ბ. ნ. მამულაშვილი, რომელმაც გარკვეულად წაიკითხა ვაჟა ფშაველას ლექსი მიძღვნილი დ. გურამიშვილ ისადმი; ბ. ვ. ლაბაძე, გრძნობათა თკბილი განცდით, რომ გადმოგვცა პოეტ სვიმ. ჩიქოვანის ორი ლექსი. ლექსთა განყოფილება დასრულდა გ. ყიფიანის მიერ წაკითხულ გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსით, საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა პოეტი.

ბ. ლ. ბელიაშვილმა წაიკითხა საქართველოში თანამედროვე ცნობილი მწერლის მისი ძმის ა. ბელიაშვილის მოთხრობა «უკანასკნელი ნატვრა» (რუსეთში მყოფ მოხუცი დ. გურამიშვილისა).

საღამო მეტად მწყობრათა და წესიერად ჩატარდა, ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და გაზომილი იყო მომწყობთა მიერ. ქართული საზოგადოება მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილებით აღსავსე დაიშალა.

«ივერია»-ს რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს საღამოს მომწყობთ და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას ახლად არჩეულ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირს. საჭიროდ მიგვაჩნია ამ საღამოზედ წაკითხული მასალების ერთ წიგნათ გამოცემა და დ. გურამიშვილისადმი მიძღვნა ქართული ემიგრაციის მიერ. ამის განხორციელება «მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირისათვის» მიგვინდვია.

დამსწრე.

GEORGIAN

ს ა მ ძ ი მ რ ე ბ ი:

«ივერია»-ს რედაქცია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს, ქართველი ქალის სრული განსახიერების ა რ ი ა ნ ა წ ულ უ კ ი ძ ის ასული ურატაძის უდროოდ გარდაცვალებისა გამო. გულითადს თანაგრძნობას უცხადებს ბ-ნ გრ. ურატაძეს და მათი ოჯახის წევრებს.

——

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საფრანგეთის კომიტეტი და «ივერია»-ს რედაქცია გულითად თანაგრძნობას უცხადებს მის წევრსა და თანამშრომელს ბ-ნ სევ. ჭირაქაძეს, საქრთველოში მისი საყვარელი მამის გარდაცვალების გამო.

——

23 იანვარს, ლევილში გარდაიცვალა დ ა ვ ი თ რ ე ვ ა ზ ა შ ვ ი ლ ი. ჩვენი რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს მისი სიკვდილის გამო. განსვენებულმა მისი სიცოცხლის ემიგრანტობის ხანა შეუჩერებლივ მიწაზედ მუშაობაში გაატარა. მისი შრომის ნაყოფი, მის მიერ შეძენილი მიწების სახით უპატრონოთ დარჩა. ასეთი შემთხვევა ქართულ ემიგრაციაში პირველი არ არის. ანდერძის დატოვება ადამიანს არ მოჰკლავს და ჩვენს ღარიბ ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებასკი შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, რაიმე შესძინოს.

მოზარდი თაობის აღზრდის საკითხი.

ემიგრაციის მოზარდი თაობის ქართულად აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმე მრავალჯერ იყო წამოყენებული და იმდენჯერვე შეწყვეტილი. ამ საქმიანობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალბ. სოფიო კედიას, განსვენებულ ვახ. ღამბაშიძეს, ბ. სამ. ფირცხალავას და რამოდენიმე წლის განმავლობაში არსებულ მშობელთა კომიტეტს. კოლონიის უკანასკნელ კრებაზედ მოსწავლე ს. მელიავას გაბედულმა გამოსვლამ და საყვედურმა, სჩანს მკვდარი წერტილიდან დასძრა ეს საქმე. კოლონიის გამგეობის მიერ მოწვეულმა, მშობელთა და მასწავლებელთა კრებამ დაადგინა გახახლებულ იქმნას ქართული სკოლა, ამ მიზნით აირჩია კომისია და დაავალა მისი დადგენილების სისრულეში მოყვანა.

«ივერია»-ს რედაქცია იმედით ეგებება ამ საქმიანობის წამოწყებას. მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ხსენებულ კომისიას და ხელი შეუწყოს ქართველი ბავშვების ქართულად აღზრდა-განსწავლის საქმეს.

გ. შარაშიძის მოხსენება.

გასული წლის 28 ოქტომბერს Societes Savants-ის დარბაზში, ახალგაზრდა გოგი შარაშიძემ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: «წმიდა გიორგის კულტი მთაში». მოხსენება იყო მეტად აკადემიური ხასიათის. მაგრამ წაკითხულმა დინჯი. დარბაისლური და გასაგები ენით, ფრიად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

«ივერია»-ს რედაქცია მიესალმება ამ ახალგაზრდა ქართველის გამოსვლას და უსურვებს წინსვლას.

«ქართული აზრი».

ჩრდილო ამერიკიდან მივიღეთ ჩვენი მეგობრების მიერ იმ კონტინენტზე პირველად დასტამბული ქართული გაზეთი «ქართული აზრი»-ს პირველი ნომერი.

«ივერია»-ს რედაქცია მიესალმება მის მოძმე ორგანოს და უსურვებს ნაყოფიერ შუშაობას.

საქართ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

წ. წლის მაისის 28-ს ეროვ.-დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის მიერ, მოწვეულ იქმნა საფრანგეთში მცხოვრებ წევრთა წლიური ყრილობა. რომელსაც დაესწრენ პროვინციებში მყოფ წევრთა წარმომადგენლებიც. ყრილობამ მოიწონა და დაადასტურა, პარტიის მიერ აღებული პოლიტიკური პოზიცია და ხაზი. დასტოვა პარიზის კომიტეტი მისი მთელი ხელმძღვანელობით; დაადგინა შევსებულ იქმნას კომიტეტი პროვინციებში მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან და ეწოდოს მას საფრანგეთში მცხოვრებ პარტიის წევრთა კომიტეტი. დაავალა შევსებულ კომიტეტს განაგრძოს იმავე პოლიტიკურ პლატფორმაზე და იმავე ხაზით მუშაობა მიხაურ და საგარეო ასპარეზზედ. გააგრძელოს მუშაობა ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა ერთობის აღსადგენად, პარტიის ძირითადი ეროვნულ-პოლიტიკური პრინციპების და დებულებების შეურყევლად დაცვით.

პარიზის კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა ყრილობის მიერ დავალებათა აღსრულებას. მიიწვია ხელმძღვანელ ორგანოში ახალი ძალები პარიზიდან და პროვინციებიდან. მათ შორის მთავარი კომიტეტის დარჩენილი რამოდენიმე წევრი. შეადგინა 15 კაცისაგან საფრანგეთის კომიტეტი. შეავსო «ივერია»-ს სარედაქციო კოლეგია. მიიღო ზომები ჟურნალის რეგულიაოულად გამოცემისათვის და წარმოებული პოლიტიკური მუშაობის გასაგრძელებლად.

რედაქციის მისამართი
V. Choubladze 35. rue du Banquier. Paris (13).

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი-548